ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **საქართველოს ისტორია**

მასურაშვილი მაია

მართა-მარიამ ბაგრატიონი საქართველოს და ბიზანტიის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი ლერი თავაძე

ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in History

Masurashvili Maia

The Cultural and Political Life of Martha-Maria Bagrationi in Georgia and Byzantium

Thesis is prepared to obtain MA Degree in History of Georgia

Scientific Advisor Leri Tavadze

Ph.D. in History, TSU Assistant Professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ქართველი მეფის ბაგრატ IV-ის ასულს დედოფალ მართას, რომელიც მიათხოვეს ბიზანტიის იმპერატორს მიხეილ VII დუკას. ნაშრომი შედგება ექვსი თავისგან, შესავალისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის აქტუალობა განაპირობა დედოფლის პიროვნებამ. საერთოდ, ბოლო წლებში პოპულარული გახდა დედოფლის ინსტიტუტის შესწავლა და ამიტომ ჩემი მცდელობა შემეკრიბა მართა-მარიამის გარშემო არსებული ინფორმაცია და ერთ სივრცეში წარმომეჩინა, ვფქრობ რომ ამ პოპულარიზაციას უკავშირდება.

ზოგადად, ქართველ დედოფლებზე მწირია ინფორმაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაც განპირობებულია მათი სტატუსით. ვინაიდან უპირველეს მმართველს წარმოადგენდა მეფე და დედოფალი მის ჩრდილში რჩებოდა.

რაც შეეხება მართა-მარიამს, სამწუხაროა, რომ მის შესახებ საუბრისას მხოლოდ ორიოდე წინადადებით შემოვიფარგლებით. შევეცადე შემეგროვებინა სხვადასხვა დროს დაბეჭდილი სტატიები, ქართული და ბიზანტიური წყაროები და მათი დახმარებით აღმედგინა მისი საქმიანობა. რის ფასად დაუჯდა მას თავისი შვილის ტახტისათვის ბრძოლა და მისი დაძაბული პოლიტიკური ცხოვრების მიუხედავად, რამდენი რამ შეძლო გაეკეთებინა თავისი ქვეყნისათვის.

Annotation

Presented work refers to Queen Martha, king of Bagrat IV of Georgian King, who was asked by the Byzantine Emperor Mikhail VII Dukas. The work consists of six chapters, from the introduction and conclusion.

Actuality of the work was caused by the personality of the Queen. Generally, in recent years, I have been studying the queen institute and my attempts to gather information about Martha-Mariam and in one area, I think this is related to popularization.

In general, the Georgian queens are scarce in Georgian historiography, which is due to their status. The first ruler was the king and the queen remained in his shadow.

As for Martha-Mariam, it is sad that she will be limited to just two sentences. I tried to collect articles, Georgian and Byzantine sources at different times and with their help restored his activities. It cost him the fight for his son's throne and despite his tense political life, how many things he could do for his country.

შინაარსი

ანოტაცია ---------- 3-4

შესავალი ---------- 6-9

თავი I. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა XI საუკუნეში ------- 10-13

თავი II. მართა-მარიამის ბიოგრაფია ---------- 14-19

თავი III. დედოფლის კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა — 20-26

თავი IV. მართა-მარიამი და ალექსი კომნენოსი---------- 27-34

თავი V. დედოფლის სახე შუა საუკუნეების შემოქმედებაში ------- 35-38

თავი VI. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ---------- 39-49

დასკვნა ---------- 50-51

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა ---------- 52-54

შესავალი

XI საუკუნის საქართველოს მთავარი ამოცანა იყო ბიზანტიის ვასალიტეტიდან თავის დაღწევა და საკუთარი ძალების მობილიზება ქვეყნის ცენტრალიზაციის საკითხის მოსაგვარებლად. ბაგრატ III-ის მეფობიდან მოყოლებული ქართველი მონარქები ცდილობდნენ აღედგინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ამ პერიოდში გაძლიერებული ბიზანტიის იმპერია ცდილობს თავისი ჰეგემონია დაამყაროს და თავისი ბატონობა გაავრცელოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და ბიზანტია ერთმორწმუნე ქვეყნები იყვნენ, მათ შორის განხეთქილება მაინც არსებობდა. ბიზანტია ცდილობდა დაემორჩილებინა საქართველოს სამეფო კარი, ქართველი მმართველები კი ეურჩებოდნენ.

ქვეყნის ცენტრალიზაციის პირველი მცდელობა არ დასრულებულა სასურველი შედეგით. ბაგრატის შვილი გიორგი I, აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწევა მიზნის მისაღწევად. ის ამყარებს დიპლომატიურ კავშირებს აზიის რეგიონში და ეგვიპტის ფატიმიდ ხალიფებთან. ცდილობს ბიზანტიის მოწინააღმდეგე თითოეული ძალა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სამწუხაროდ, მისი დიპლომატიური გეგმა ვერ განხორციელდა და მას მოუწია თავისი ვაჟის მცირეწლოვანი ბაგრატ IV-ის იმპერიაში მძევლად გაგზავნა.

მას შემდეგ რაც ბაგრატი სამშობლოში დაბრუნდა მალევე გარდაიცვალა ქართველი მეფე და ცხრა წლის ასაკში ბაგრატ IV ქვეყნის მმართველი გახდა, რომელსაც რეგენტობას დედა, მარიამ დედოფალი უწევდა. ქართული სამეფო კარი მიხვდა, რომ სამხედრო ძალებით იერიშს შედეგი არ მოჰქონდა, საქართველოს არ შეეძლო გაძლიერებული ბიზანტიისათვის წინააღმდეგობა გაეწია. იმის გათვალისწინებით, რომ ბიზანტიის იმპერიის არსებობის ისტორიაში XI საუკუნე თუღქ-სელჩუკების გამოჩენამდე იმპერიის დიდების პერიოდი იყო. ბასილი კეისარი, იყო იმპერატორი, რომელმაც ბიზანტია ფეხზე დააყენა და მისი შიში ჩაუნერგა მეზობელ ქვეყნებს. სწორედ ამ პერიოდში მოუწია საქართველოს სამეფო კარს თავისი პოზიციების დაცვა. სწორედ ამიტომ გადაწყდა მეგობრული ურთიერთობის დამყარება, რომელიც როგორც წესი დინასტიური ქორწინებებით სრულდებოდა.

ბაგრატის დედა, მარიამ არწრუნი დიპლომატიური ვიზიტით ეწვია იმპერიას და თავისი ვაჟისათვის საცოლე წამოიყვანა. ბაგრატს იმპერატორმა კურაპალატობაც უბოძა, რაც იმ დროს დიდ პატივად ითვლებოდა. იმის გათვალისწინებითაც რომ ქართველი მმართველები კურაპალატის ტიტულს დაახლოებით VI საუკუნიდან ატარებდნენ, შეგვიძლია მივხვდეთ რომ იმპერატორის მიერ ტიტულის ბოძება მოკავშირეობას და მეგობრობას ნიშნავდა (იმ დრომდე, სანამ ეს იმპერიის ინტერესებში შედიოდა).

საქართველოში დაბრუნებულმა დედოფალმა სარძლოც ჩამოიყვანა და ბანაში დიდი ქორწილი გადაიხადეს. დედოფალი ელენე, მალვე გარდაიცვალა და ბაგრატმა გადაწყვიტა მოკავშირეები კავკასიის მთიელებთან მოეძებნა. ამ მიზნით ის დაუნათესავდა ოსთა მეფეს და ცოლად შეირთო მისი ასული ბორენა. ამით მან ახალი მოკავშირე შეიძინა ბიზანტიის წინააღმდეგ.

სწორედ ბორენასა და ბაგრატის ასული მართა დედოფალი გაათხოვეს ბიზანტიის იმპერატორზე მიხეილ დუკაზე. იგი მეტად უუნარო მმართველი აღმოჩნდა და მელევე იქნა ტახტიდან ჩამოგდებული. მის შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა ნიკიფორე ბოტანიატემ. მან მართა დედოფალი ცოლად შეირთო. რათქმაუნდა, საზოგადოების მხრიდან ამ ამბავს

დიდი აურზაური მოჰყვა, მაგრამ ქართველი დედოფლისათვის მთავარი იყო შვილისათვის ტახტის შენარჩუნება.

ამის შემდეგ დეფოალი კიდევ რამდენიმე შეთქმულებაში იღებს მონაწილეობას და ცდილობს ყველანაირი ხერხით თავისი ვაჟი იმპერატორის ტახტზე აიყვანოს. ამის პარალელურად დედოფალი უყურადღებოდ არ ტოვებდა თავის სამშობლოს და ცდილობდა თავისი გავლენის წყალობით ბევრი სასიკეთო რამ გაეკეთებინა თავისი ქვეყნისათვის.

აღსანიშნავია, რომ დედოფალი დიდი ძალაუფლების პატრონი იყო ბიზანტიაში. ფაქტიურად ის განაგებდა იმპერიის ბიუჯეტს და ძალღონეს არ იშურებდა ქართული მონასტრების დაარსებისაგან. მფარველობდა უკვე არსებულებს ცდილობდა ყველანაირი შერავათი გაეწია მათთვის. დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდეების განათლებას. საქართველოდან ჩასულ სტუდენტებს ხელს უწყობდა მიეღოთ უმაღლესი განათლება და სამშობლოში მაქსიმალური შესაძლებლობებით დაბრუნებულიყვნენ.

საკითხის შესწავლაში ქართული ისტორიული წყაროებიდან გამოვიყენეთ XI საუკუნის ანონიმი ავტორის თხზულება, რომელიც შესულია „ქართლის ცხოვრებაში“ და რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა პირობითად უწოდა „მატიანე ქართლისა“. ასევე სუმბატ დავითის ძის ცნობები.

ვისარგებლეთ XI საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მცირეს ჰაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებით „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“. გიორგი მცირე იყო გიორგი მთაწმინდელის მოწაფე. როდესაც მისი ნეშტი კონსტანტინოპოლიდან ათონის მთაზე გადაასვენეს, გიორგი მცირე სამუდამოდ იქ დარჩა. მან გიორგი შეყენებულისა და იოანე ჭყონდიდელის დავალებით აღწერა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა. მართლია წერისას ის არ იყენებდა თარიღებს და რამდენიმე შცდომაცაა გაპარული, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ეს თხზულება დიდ სამსახურს გვიწევს ბაგრატ IV-ისა და საქართველო-ბიზანტიის იმდროინდელი ურთიერთობის შესახებ. ხელნაწერი დაცულია ათონის ივერთა

მონასტრის კრებულში. იგი პირველად 1882 წელს გამოსცა მიხეილ საბინინმა, ხოლო ლათინურად ის 1923 წელს გამოიცა პაულ პეეტერსის ხელმძღვანელობით.

დიდი დახმარება გაგვიწია ბიზანტიელი მწერლების კრებულმა გეორგიკამ. ვისარგებლეთ ანა კომნენეს ნაშრომებით. ის XII საუკუნის ისტორიკოსია. ანა ალექსი კომნენოსის ასული იყო და მისი ნაწარმოები უდიდესი მნიშვნელობისაა, ვინაიდან ის თავად იყო აღწერილი ამბების ნაწილის შემსწრე, ხოლო დანარჩენილი ნაწილი მას უშუალოდ პირველწყაროსაგან ჰქონდა გაგებული. ეს იყო მის ხელთარსებული წერილები, სიგელები,დიპლომები და ადამიანები ვისგანაც ის ისტორიას იგებდა. გამომდინარე იქიდან, რომ ანა დანიშნული იყო დედოფალ მართას ვაჟზე, მას საშუალება ჰქონდა ახლო ურთიერთბა ჰქონოდა დედოფალთან. ანა კომნენას დამსახურებით შეგვიძლია აღვადგინოთ დედოფლის პორტრეტი და მისი ყოველდღიური ცხოვრების მომენტები. ანა კომნენა ასევე გვიხასიათებს კონსტანტინე პორფიროგენეტსაც.

ბიზანტიელი მწერლებიდან საკითხის ირგვლივ ცნობებს გვაწვდნიან გიორგი კედრენე, იოანე ცეცე, მიქელ პსელოსი, იოანე სკილიცე და სხვ.

დიდი დახმარება გაგვიწია ირინე ნოდიას, ეკა ჭყოიძეს, ავთანდილ მიქაბერიძის სტატიებმა მართა-მარიამის შესახებ. ასევე, ჯაბა სამუშიას, როინ მეტრეველის, ვასილ კოპალიანის, გოჩა ჯაფარიძის, ზურაბ პაპასქირის შრომებმა ამ ეპოქის შესახებ.

თავი პირველი

საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა XI საუკუნეში

საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ ერთმანეთთან. ეს ურთიერთობა თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს იმ კონტაქტებისა, რომელიც ქართულ სახელმწიფოებს ჰქონდათ რომის იმპერიასთან. ქართული პოლიტიკური ერთეულები ხან ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ბიზანტიასთან, ხან მის მოკავშირეებს წარმოადგენდნენ, ხანაც მისდამი მტრულად განწყობილ ძალებს უკავშირდებოდნენ, ხოლო გარკვეული დროიდან ქართული სახელმწიფო ბიზანტიის მოწინააღმდეგედაც გამოდიოდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე.

გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს წინაშე არაერთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა იდგა. მათ შორის უმთავრესი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება და ბიზანტიის ვასალიტეტიდან გამოსვლა იყო.

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველო შინაარეულობამ მოიცვა. ქვეყანა გაიყო ორ ბანაკად: პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური ორიენტაციების. გიორგი მეფის პოლიტიკის მომხრეები ბაგრატს IV-ს ურჩევდნენ თავს დასხმოდა ტაოს და ებრძოლა ტერიტორიების დასაბრუნებლად. მან, მართლაც მოახერხა რამდენიმე ციხის დაკავება. ამ შემდეგ კი, 1028 წლის ნოემბერში, იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალებამდე ცოტა ადრე საქართველოში საომარი მოქმედებები შეწყდა. მომაკვდავმა იმპერატორმა გაიწვია აღმოსავლეთიდან თავისი პარაკიმომენი და ამით ერთგვარად დასრულდა საქართველო-ბიზანტიის ომი.

ამ დროს მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო იმპერიის დედაქალაქისაკენ. იმპერატორის გარდაცვალების მოლოდინში, არანაკლებ ინტერესს იწვევდა მომავალი მმართველის ვინაობაც. პრობლემა აქტუალური იყო თავად იმპერატორისათვისაც, ვინაიდან მას არ ჰყავდა ვაჟი. სამი ქალიშვილიდან უფროსი ევდოკია---მონაზვნად იყო აღკვეცილი, უმცროსმა თეოდორამ კი უარი განაცხადა გათხოვებაზე და ამგვარად, მომავალი მემკვიდრის ვინაობა შუათანა ქალიშვილის, ზოიას გათხოვების შემდეგ გაირკვეოდა. კონსტანტინე VIII-მ ზოია რომანოზ არგიროსზე დააქორწინა. როგორც სკილიცე-კედრენე მოგვითხრობს, იმპერატორს ეს გადაწყვეტილება მისმა გარემოცვამ მიაღებინა, რომელმაც თავის მხრივ კარგად გათვალა სამომავლო გეგმა. რომანოზ არგიროსი წარუდგინეს იმპერატორს და მანაც, სასწრაფოდ ბრძანა მათი დაქორწინება. ამ დროს ზოია 50 წლის იყო, ხოლო რომანოზი 60 წელს იქნებოდა მიტანებული. 12 ნოემბერს ზოიამ და რომანოზმა ჯვარი დაიწერეს, ხოლო 15 ნოემბერს გარდაიცვალა კონსტანტინე VIII.

ამგვარად, ტახტის მემკვიდრე გახდა რომანოზ III არგიროსი, რომელმაც არ განაახლა საომარი მოქმედებები საქართველოსთან. მისი გამეფების პერიოდში ბიზანტიის

იმპერიამ მთელი ყურადღება გადაიტანა არაბებთან ომზე და მას თავად არ აწყობდა საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობა.

ამას დაერთო ბაგრატის დედის, მარიამ დედოფლის ვიზიტი ბიზანტიაში. ხსენებული ელჩობის შესახებ მოგვითხრობს XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე. მისი ნაწარმოები „ქრონოგრაფია“ მოიცავს ცნობებს ქვეყნის დასაბამიდან 1079 წლამდე. კედრენეს გამოყენებული აქვს თავისი წინამორბედი ისტორიკოსების გიორგი სინგელოსის, თეოფანე ჟამთააღმწერელის და იოანე სკილიცეს შრომები. პირველი ორი ისტორიკოსის ნაშრომი მოგვითხრობს ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან 811 წლამდე, ხოლო იოანე სკილიცეს „ისტორიული მიმოხილვა“ 811-1059 წლების შესახებ. რადგან იოანე სკილიცეს ისტორია მთლიანად იყო შესული გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიაში“, გამომცემლებს არ ჩაუთვლიათ საჭიროდ ცალკე გამოეყოთ ეს პერიოდი და უბრალოდ დაურთეს ბოლოში.

კედრენე-სკილიცე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვითხრობს ბიზანტიის იმპერიაში დედოფალ მარიამის ვიზიტის შესახებ. რომანოზ არგიროსი მეტად პატივმოყვარე ადამიანი აღმოჩნდა, მისთვის დიდება და სახელი მთავარი საზრუნავი გახდა. როდესაც მისმა სტრატეგოსმა, მიხეილ სპონდილემ დიდი მარცხი განიცადა სირიასთან შეტაკების დროს, რომანოზმა სამხედრო ძალების მობილიზება ბრძანა. ისტორიკოსი იმასაც გადმოგვცემს, რომ მან წინასწარ დაამზადებინა გვირგვინი რომლის დადგმასაც აპირებდა გამარჯვების შემთხვევაში. ამავე წლის, ოქტომბრის თვეში ბიზანტიას ეწვია ბაგრატ IV- ის დედა, დედოფალი მარიამ არწრუნი.

გიორგი კედრენე წერს: *„სანამ იგი შეკრებდა ჯარს, ამასობაში ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი, ხოლო მისმა მეუღლემ მეფესთან ელჩები გამოგზავნა საჩუქრებით და სთხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავისი ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლეს“.*[1] იმპერატორმა მისი თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და

[1] გიორგი კედრენე, გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი V. თბ., 1963. გვ.7-83

თავისი ძმისწული ელენე, ძმის, ბასილის ასული სარძლოდ გაგზავნა. თავად ბაგრატს კი კურაპალატის ტიტული უბოძა.

„მატიანე ქართლისა“ კი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: *„შემდგომად ამისა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა. და კუალად ძიებად პატივისა კუროპალატობისა ძისათვის თვსისა, ვითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისათვს ძის ცოლისა“.* [2]

„მატიანე ქართლისა“-ში და სუმბატ დავითის ძესთან, კონსტანტინოპოლში წასული ელჩობიდან არავინ სახელდება მარიამ დედოფლის გარდა. იაჰია ანტიოქიელის ერთი საინტერესო ცნობიდან კი ირკვევა, რომ დედოფალს ამ ვიზიტისას თან ახლდა მელქისედეკ კათალიკოსი. ქართველთა ელჩობის მიზანი: მოეპოვებინა მშვიდობა და ერთობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის, მიეღო ბაგრატ IV-ს კურაპალატის ტიტული და მომხდარიყო საქართველო-ბიზანტიის დანათესავება დინასტიური ქორწინებით მიღწეულ იქნა.[3]

საქართველოს დელეგეცია ბიზანტიიდან პირდაპირ ამიერტაოსაკენ გამოეშურა. ბანაში დიდი ქორწილი გადაიხადეს ბაგრატ მეფემ და დედოფალმა ელენემ. ფაქტობრივად ამით დასრულდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის მტრული დამოკიდებულება და მათ შორის კეთილმეზობლურმა დამოკიდებულებამ დაისადგურა.[4] ორივე ქვეყანა იმედოვნებდა, რომ დინასტიური ქორწინება მშვიდობის გარანტი იქნებოდა, მაგრამ დედოფალი ელენე საქართველოში ჩამოსვლიდან მცირე ხანში გარდაიცვლა. არ არის ცნობილი მისი გარდაცვალების არც თარიღი და არც მიზეზი. ქართულ წყაროში მხოლოდ ერთი წინადადებითაა მოთხრობილი ეს ფაქტი: *„ და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისს შინა, და შეირთო*

---

[2] ქართლის ცხოვრება, მატიანე ქართლისა. ტექსტები დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ,ტომი I. თბ.,1958,. გვ.279

[3] Mart'a-Maria of Alania. The Oxford Dictionary of Bizantium, II, Oxford 1991, p. 1298.

[4] ბაგრატ IV. ქართველი მეფეები პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი. სამუშია ჯ. თბ.,2018. გვ.37-50

ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთ მეფისა ასული, დაი დორღოლელისაი“.[5]

დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ IV-მ ცოლად შეირთო ოსთა მეფის ურდურეს ასული და დორღოლელის და, ბორენა. ჩრდილოელ მეზობლებთან მეგობრული დამოკიდებულება მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამეფო კარისათვის. ხოლო მეგობრული ურთიერთობის გაღრმავება ნათესაური კავშირით, რათქმაუნდა უფრო სასარგებლო იქნებოდა. ბიზანტიამ საქართველოში სხვაგვარი პოლიტიკის გატარება დაიწყო. მან ბაგრატის წინააღმდეგ აამოქმედა ქართველი ფეოდალები. მათ შორის ყველაზე აქტიური და საშიში იყო ლიპარიტ ბაღვაში. რომელმაც სხვადასხვა ღონისძიებები გაატარა ბიზანტიის ხელმძღვანელობით. მათ სცადეს ბაგრატის ნახევრძმის, დემეტრე უფლისწულის გამეფება, დიდგვაროვნების ამბოხება, სომხეთის პოლიტიკაში აქტიური ჩარევა და სხვა.

ამ დროს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ძალა თურქ-სელჩუკების სახით და თავად ბიზანტიის ინტერესებში შედიოდა საქართველოს სამეფო კართან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ცნობილია, რომ მათმა გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა. ამიტომ ბაგრატ მეფეს თავისუფლება მიენიჭა და მართალია, იგი კვლავ ატარებდა ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური ხასიათის მოვლენა იყო.

თავი მეორე

მართა-მარიამის ბიოგრაფია

[5] ქართლის ცხოვრება მატიანე ქართლისა.ტექსტები დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ,ტომი I,თბ.,1958,. გვ.280

მართას მამა საქართველოს მეფე ბაგრატ IV იყო. იგი 1018 წელს უნდა დაბადებულიყო. 1022-1025 წლებში ბაგრატი, როგორც ქართველი მძევალი იმპერატორ ბასილი II-ის კარზე იზრდებოდა. 1027 წელს, როდესაც გარდაიცვალა საქართველოს მეფე გიორგი I, მას მოუწია 9 წლის ასაკში ქვეყნის მმართველობას შესდგომოდა.

მართას დედა, ბორენა დედოფალი ოსთა მეფის ასული იყო. სამწუხაროდ მის შესახებ მწირია ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში. ცნობილია, რომ ის ქართველი დედოფალი XI საუკუნის 30-იან წლებში გახდა. ეს არის მისი პირველი ხსენება მატიანე ქართლისაში. მეორედ ის იხსენიება, იმ დროს როდესაც ლიპარიტ ბაღვაში გადაწყვეტს, გიორგი უფლისწულის გამეფებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოლაპარაკებებს ბორენა დედოფალთან აწარმოებს. ვინაიდან ამ პერიოდში ქართველი მეფე იმპერიაში იმყოფება და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბორენა დედოფალი გიორგი უფლისწულთან ერთად განაგებდა საქართველოს. *„ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქვეყანისათა“.*[6]

აღსანიშნავია, რომ ბორენა დედოფლის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ საქართველოსა და ოსეთის ურთიერთობა მეტად კეთილმეზობლური გახდა. ოსთა მეფე, დორღოლელი მონაწილეობას იღებდა განძის საამიროს დარბევაში.[7] მოგვიანებით კი ოსთა მეფე საპატიო მიზეზით ეწვია საქართველოს. მან ქუთაისში მოინახულა თავისი და. ამ დანათესავების შედეგად, ოსთა სახით, საქართველოს ერთგული მოკავშირე გაუჩნდა კავკასიის რეგიონში.[8]

ბაგრატ IV-ის ასული მართა, იგივე მარიამი მთელ რიგ ბიზანტიელ ისტორიკოსებთან იხსენიება, როგორც „მარიამ ალანელი“. შემთხვევას ყურადღება მიაქცია XVII-ე საუკუნეში, ფრანგმა ისტორიკოსმა შარლ დიუკანჟმა, რომლისთვისაც ცნობილი იყო ნიკიფორე ვრიენოსის ცნობები მართას შესახებ. იგი მოგვითხრობს, რომ მართა იყო ივერიის დამოუკიდებელი მმართველის ასული და აქვე დასძენს, რომ

---

[6] ქართლის ცხოვრება, მატიანე ქართლისა. ტექსტები დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ,ტომი I,თბ.,1958,. გვ.304

[7] იქვე, გვ. 313

[8] მეტრეველი რ. სამუშია ჯ. მეფეთმეფე გიორგი II. თბ. 2003. გვ. 29-31

ივერიელები, აბაზგები და ალანები ერთი ტომის წარმომადგენლები არიან. ავტორი ეყრდნობა იოანე ცეცეს ცნობებს. მართას წარმომავლობის შესახებ დაფიქსირებული შეცდომა ბიზანტიურ წყაროებში შეგვიძლია ავხსნათ დედამისის წარმომავლობით.[9]

1052 წელს ბაგრატ მეფეს დედამისთან, დედოფალ მარიამთან ერთად დიდი ხნით მოუწია ბიზანტიის დედაქალაქში გაჩერებამ. რომანოზ III-ის (1028-1034წ.) შემდეგ იმპერიის მმართველობა უსწრაფესი ტემპებით გადადიოდა სხვადასხვა იმპერატორების ხელში.

- რომანოზ III არგიროსი 1028-1034 წ.წ.
- მიქაელ IV 1034-1041 წ.წ.
- მიქაელ V 1041-1042 წ.წ.
- კონსტანტინე IX მონომახი 1042-1055 წ.წ.

რის შემდეგაც საბოლოოდ ტახტზე ზოიას შინაბერა და თეოდორა ავიდა.[10]

ქართულ ისტორიოგრაფიაში მართა-მარიამის დედმამიშვილთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. პროფესორი ი. ანთელავა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გიორგი II-ს ორი და ჰყავდა. ერთი, მართა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორზე გაათხოვეს და რომელიც, 1081 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერშია მოხსენიებული. ქართველი გადამწერი თეოფილე ხუცესმონაზონი აღნიშნავს, რომ მუშაობა დაამთავრა, როდესაც: *„საბერძნეთის დედოფლობასა მართა მისვე გეორგის დისასა და მეფობასა ნიკიფორე ბოტანიოტისა და ალექსი კომნიანოსასა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი აღმოსავლეთით კონსტანტინოპოვლეს შემოვიდა“.*[11] ი. ანთელავას არგუმენტად მოჰყავს წყაროში დაფიქსირებული დედოფლის ორი სახელი მართა და მარიამ. ამას უმატებს მატიანე ქართლისაში მოყვანილ ცნობას, სადაც ნათქვამია რომ მომაკვდავი ბაგრატ მეფის სარეცელთან სხვებთან ერთად მისულან ბორენა დედოფალი

[9] ნოდია ი.ქართული მასალები მართა-მარიამის შესახებ. ბიზანტიოლოგიური ეტიუდები. თბ., 1978. გვ.146-147

[10] ასათიანი ვ. ბიზანტიური ცივილიზაცია. თბ., 2015 გვ.498-499

[11] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ., I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ... თბ.,1986, გვ. 79

და მისი ასული, მარიამ. პროფესორი ამ ცნობებს ერთმანეთს უჯერებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მართა და მარიამი ორი სხვადასხვა პიროვნებაა.[12] ჩვენ არ ვეთანხმებით, ამ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ მარიამი მისი ბიზანტიური სახელია, ხოლო მართა დაბადებისას მინიჭებული. მიგვაჩნია, რომ წყაროებში მოხსენიებული ორი სხვადასხვა სახელი პრობლემას არ წარმოადგენს სახელის იდენტიფიცირების დროს. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, რომ შეგნებულადაა ნახსენები მისი პირველი სახელი მართა, რათა არ დაიკარგოს და აღსაქმელად იყოს ადვილი. ჩვენს მოსაზრებას ვამყარებთ არგუმენტით, რომ ბიზანტიაში მიღებული იყო დაწინდვის ცერემონიალის შემდეგ დედოფლისათვის სახელის შეცვლა.

მართა თავის ძმაზე გიორგი II-ზე უმცროსი უნდა ყოფილიყო. იგი დაახლოებით XI-ე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დაიბადა. თავდაპირველად მართა კოსტანტინოპოლში 1056 წელს ჩაიყვანეს. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის გიორგი მცირე „გიორგი მთაწმინდელის“ ცხოვრებაში: *„რამეთუ ჟამსა მას, ოდეს-იგი თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთა მეფობა, ითხოა ბაგრატ აფხაზთა მეფისაგან, რათა მოსცეს ასული მისი მართა და შვილად თვისად აღზარდოს. ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თვისი მართა კაცთა თანა საკუთართა თვისთა“.*[13]

როგორც ირკვევა, საქართველოს მეფისათვის დედოფალ თეოდორას აღსაზრდელად მართას ბიზანტიაში ჩაყვანა უთხოვია. ადვილი მისახვედრია, რა ჩანაფიქრი ჰქონდათ ბიზანტიელებს. მართა, ფაქტობრივად, იმპერიის დედაქალაქში მყოფი ქართველი მძევალი იქნებოდა. ბაგრატ IV იძულებული გახდა მიეღო დედოფალ თეოდორას წინადადება, ვინაიდან ამ დროს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა უკვე დარეგულირებული იყო და დედოფლის წინადადებაზე უარის თქმა დიდი გამოწვევა იქნებოდა ბაგრატის მხრიდან.

---

[12] ანთელავა ი. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ.,1988, გვ.19

[13] კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ თბ., 1960 გვ. 141

ბიზანტიაში მართას ჩასვლა დაემთხვა დედოფალ თეოდორას გარდაცვალებას. სხვათაშორის, მართას ბიზანტიაში პირველ ვიზიტთანაა დაკავშირებული გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება: *„ხოლო მათ დღეთა შინა განგებითა საღმრთოითა თეოდორა დედოფალი აღესრულა. მეყსეულად მართა ასული ბაგრატისი სამეუფოდ შემოიყვანეს. და ვითარცა იხილა წმინდამან ამან მართამ სასმენად ყოველთა წინაწარმეტყველა და თქუა, ვითარმედ: უწყოდეთ ყოველთა ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა".*[14]

ქართული დელეგაცია თეოდორას გარდაცვალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. მოგვიანო პერიოდის შესახებ კვლავ გიორგი მცირე მოგვითხრობს: *„ხოლო მაშინ დაყო მცირედი ჟამი და კუალად ზევე წარიყვანეს მართა. ხოლო ოდეს მოიწია ჟამი, კუალად მოსთხოა დუკიწმან და სძლად თვისად სამეუფოსა ამას ქალაქსა შემოიყვანა".*[15] ამ მონაკვეთში საუბარია მართას მეორედ გამგზავრების შესახებ იმპერიაში, როდესაც ის ცოლად გააყოლეს ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X დუკას ძეს, მომავალ იმპერატორს მიხეილ VII დუკას. იმპერატორმა კონსტანტინე X-ემ ითხოვა მართას გაგზავნა კონსტანტინოპოლში თავისი ვაჟის საცოლედ. კვლავ გიორგი მცირეს თხზულებიდან ვიგებთ, რომ მისი გამგზავრება სავსე იყო პომპეზური ცერემონიებით. ამ მსვლელობას, ბიზანტიის მხრიდან სათავეში ედგა კონსტანტინე დუკას მიერ გამოგზავნილი აარონი. *„ხოლო წარმოვემართენით მას ჟამსა, ოდეს მართა უფლისწული ძლად თვისად კონსტანტინე დუკიწმან მოიყვანა დედოფლად სამეფოსა ამას ქალაქსა, ვითარცა დაგვიწერია პირველივე წინასწარმეტყველებისათვის ბერისა, რამეთუ წარმო-რაი-ჰყვანდა. ხოლო მეფისა მიერ წარმოვლინებულ იყო არონი."*[16]

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან ისიც ჩანს, რომ საქართველოს სამეფო კარის დელეგაციის ხელმძღვანელები ყოფილან: ბერი პეტრე, პეტრიკ-ყოფილი და იოანე, ბედიელი მთავარეპისკოპოსი და სვინგელოზი.

---

[14] კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია ტომი I „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა თბ. 1960 გვ.141

[15] იქვე

[16] იგივე. გვ.176-177

პროფესორ ვ. დონდუას მოსაზრებით ხსენებული აარონი ტიტულის გარეშე, არის მაშინდელი ბიზანტიური ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენელი. უკანასკნელი ბულგარელი მეფის იოანე-ვლადისლავის შვილი. ის იყო ივერიის კატეპანი 1050-1056 წლებში.[17] მის შესახებ ცნობები შემოგვინახა სომხურმა წარწერამ ანისის საკათედრო ტაძრის დასავლეთ კედელზე.[18]

ცნობილია, რომ როგორც ვასპურაკანის მომავალი მმართველი, აარონი აქტიურად იბრძოდა 1048 წელს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ლიპარიტ ბაღვაშის გვერდით, რომელიც ტყვედ ჩავარდა ამ დროს. ბიზანტიის იმპერატორმა დიდი ძალისხმევა მოანდომა მის გათავისუფლებას, ვინაიდან ლიპარიტი იყო ბიზანტიის გასაღები საქართველოს ცენტრალიზაციის ხელისშემშლელ გეგმებში. [19] იოანე სკილიცეს ცნობების მიხედვით ლიპარიტის ტყვეობიდან დასახსნელად კონსტანტინე მონომახმა ძალა არ დაიშურა. იბნ-ალ-ასირის ცნობების მიხედვით კი ვიგებთ, რომ დიდძალი გამოსასყიდის საფუძველზე მოხერხდა მისი გათავისუფლება.[20]

აარონის შესახებ ცნობები შეწყდა 1059 წელს, როდესაც იგი მესოპოტამიის დუკა გახდა. მართას თანმხლებ დელეგაციაში წარჩინებულთა და საეკლესიო პირთა შორის, იყვნენ უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლებიც. ერთ-ერთი მათგანი იყო იოანე ცეცეს დიდი ბებია, დედის მხრიდან, რომელიც ახლდა მართას როგორც უახლოესი ნათესავი.

XII საუკუნის ისტორიკოსი იოანე ცეცე ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში დაახლოებით 1110-1180 წლებში. მან შეადგინა ჰომეროსის „ალეგორიების“ გაგრძელება და გადაამუშავა „ხილიადები“. ბიოგრაფიულ ცნობებს ცეცეს შესახებ ვიგებთ მისივე ნაშრომებიდან, კერძოდ „ისტორიების“ ერთ საგანგებო თავში. იგი აღნიშნავს რომ მამის ხაზით ბერძნული წარმოშობისაა, ხოლო დედის მხრიდან კავკასიელია. მისი ბიოგრაფიის ამ მონაკვეთში ვხვდებით ცნობას, მართას ბიზანტიაში მეორედ გამგზავრების შესახებ.

---

[17] В. Д. Дондуа. К истории грузинско-византийской политической взаимоотношений XI в., сб. Исторические разыскания, Тб.1967., ст.35

[18] В.Н. Бенешевич. Три анийские надписи XI в., Петер. 1921., ст.1-11

[19] კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში.თბ.,1969. გვ. 254

[20] ჯაფარიძე გ. იბნ-ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ. საქართველოს ისტ.აღმოს.მასალები.თბ.,1976.გვ.40-44

კოსნტანტინოპოლისაკენ მიმავალი დედოფლის ამალაში იყო ერთი აბაზგი ქალი, არა როგორც მხევალი, არამე როგორც სისხლით ნათესავი. ეს ქალბატონი, მისთხოვდა დედოფალ ევდოკიას ძმას, გვარდიის დრუნგარიოსს კონსტანტინე კეროლარიოს, პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ. ამ ქორწინებიდან მომდინარეობს იოანე ცეცეს დიდი ბებია, რომელიც იზრდებოდა კონსტანტინეს ქალიშვილთან (პირველი ქორწინებიდან) ერთად და დედოფალმა ევდოკიამ იგი მდიდრული მზითვით დაასაჩუქრა, როდესაც მისთხოვდა გიორგი მეზვერეს. მათ ეყოლათ სამი ქალიშვილი. ერთ-ერთი მათგანი ევდოკია არის იოანე ცეცეს დედა.[21]

იოანე ცეცეს გენეალოგია:

კონსტანტინე კეროლარიოსი + აბაზგი ქალი (მართას დელეგაციიდან)

მათი ასული, იოანე ცეცეს ბებია + გიორგი მეზვერე



[21]იოანე ცეცე. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VII. თბ., 1967. გვ.17-19

თავი მესამე

დედოფლის კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა

მართა ბიზანტიაში გაემგზავრა და დაინიშნა მიხეილ VII დუკაზე. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის სვიმეონ დვალის ანდერძი, რომელიც შემონახულია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ იოანე სინელის „კლემაქსის“ ხელნაწერზე. წარწერაში ნათქვამია, რომ იგი სრულდებოდა იმ დროს, როდესაც ბაგრატის ასული მართა იმყოფებოდა იმპერიაში, ქორონიკონით სპვ (1066 წელს). აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მართა ბიზანტიაში გაემგზავრა 1066 წელს და დაინიშნა მიხეილ დუკაზე. ამის შემდეგ იგი მოინათლა და მიიღო სახელი მარიამი, რის შემდეგაც ცხოვრობდა დედოფალ ევდოკია მაკრემბოლიტისასთან, თავის დედამთილთან, როგორც იყო მიღებული მაშინდელი ტრადიციებით. სახელის გამოცვლა დაწინდვის ცერემონიალს ემთხვევა. ზ. პაპასქირის მითითებით მართა-მარიამისა და მიხეილ დუკას ქორწინება 1065-1066 წლებში ნაადრევი უნდა ყოფილიყო. რაც გამოწვეული იყო მიხეილის არასრულწლოვნობით. ი. ნოდია შენიშნავს, რომ ბიზანტიური ტრადიციები იძლეოდა 13-14 წლის წყვილების ქორწინების უფლებას.[22] ის ფაქტი, რომ კონსტანტინე დუკამ გარდაცვალების წინ მიხეილის რეგენტად დედოფალი ევდოკია დანიშნა, მიანიშნებს მხოლოდ იმაზე, რომ მიხეილი სახელმწიფო საქმეებისთვის იყო არასრულწლოვანი. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ არ შეეძლო ოჯახის შექმნა.

[22] ნოდია ი.ქართული მასალები მართა-მარიამის შესახებ. ბიზანტიოლოგიური ეტიუდები.თბ.,1978. გვ.149

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მართასა და მიხეილის ქორწინების ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება წყაროების უქონლობის გამო. [23]

არსებობს მოსაზრება, რომ მართამ და მიხეილ დუკამ 1071 წელს იქორწინეს. ი. ნოდია ცდილობს დაასაბუთოს ეს ფაქტი და ხსნის, როგორც უკვე აღვნიშნეთ ბიზანტიური ტრადიციის არსებობით, მაგრამ ზ. პაპასქირი არ იზიარებს ამ მოსაზრებას. იგი ამბობს, რომ მნიშვნელოვანი იყო არა საპატარძლოს, არამედ მიხეილის ასაკი. ცნობილია, რომ 1065-1066 წლებში, როდესაც მართა დედაქალაქში ჩაიყვანეს მიხეილი მცირეწლოვანი იყო. სხვაგვარად ვერ აიხსნება 1068 რეგენტის დანიშვნის ფაქტის იმპერიაში. რომ არა მომავალი იმპერატორის მცირეწლოვნობა, არ იყო არანაირი მიზეზი დედოფლის რეგენტად დატოვებისა. მართალია „გიორგი მთაწმინდელის“ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მართა კონსტანტინე დუკამ ითხოვა რძლად, მაგრამ ვფიქრობთ, ამ დროს უნდა მომხდარიყო მათი დანიშვნა და არა ქორწინება.[24]

ამ ქორწინების შედეგად, 1074 წელს დაიბადა იმპერიის მემკვიდრე კონსტანტინე პორფიროგენეტი. რომელიც იოანე ზონარას ცნობების საფუძველზე პატარა ასაკში აკურთხეს თანაიმპერატორად და ამის ნიშნად წითელ სანდლებს ატარებდა.

მართა-მარიამისა და მიხეილ დუკას თანაცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1078 წელს ნიკიფორე ბოტანიატემ კონსტანტინოპოლი დაიკავა და ახალგაზრდა იმპერატორი ტახტიდან ჩამოაგდო. ჯერ კიდევ 1077 წელს გამოაცხადა ნიკიფორემ თავი იმპერატორად, მაგრამ არ ჩქარობდა კონსტანტინოპოლის დაკავებას. ასეთ ვითარებაში ალექსი კომნენოსმა ურჩია ახალგაზრდა მიხეილ დუკას ტახტი თავისი ძმისათვის, კონსტანტინესათვის დაეთმო. თავის მხრივ კონსტანტინე უფლისწულმა უარი განაცხადა ტახტზე, ნიკიფორე ბოტანიატეს სასარგებლოდ. მიხეილი ბერად აღკვეცეს და ეფესოს არქიელად დანიშნეს. [25] იმპერიის სათავეში მოსულმა ნიკიფორემ გადაწყვიტა ცოლად

---

[23] მეტრეველი რ. სამუშია ჯ. მეფეთმეფე გიორგი II. თბ.,2003. გვ.48

[24] პაპასქირი ზ. შუა საუკუნეების საქართველო მსოფლიო არენაზე. თბ.,1991. გვ.23

[25] იოანე სკილიცეს გამგრძელებელი. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. გვ. 165

შეერთო კონსტანტინე დუკას მეუღლე ევდოკია, მაგრამ მან განზრახვაზე ხელი ააღებინა და საბოლოოდ ნიკიფორე ბოტანიატემ მართა-მარიამზე იქორწინა.[26]

მიხეილ პარაპინაკის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ სასახლეში მართა და მისი შვილი კონსტანტინე პორფიროგენეტი ხელუხლებელნი დარჩნენ. მართამ შეინარჩუნა დედოფლის ტიტული, რადგან ნიკიფორე ბოტანიატეს თანამეცხედრე გახდა. ამგვარი გადაწყვეტილება, ბუნებრივია ეკლესიისა და საზოგადოების მიერ ზნეობრივ შეურაცხყოფად იქნა აღქმული. იოანე სკილიცეს გამგრძელებლის თქმით, ის მღვდელი, რომელმაც ცერემონიალი შეასრულა, მაშინვე შერისხეს.[27]

ეს ყველაფერი კი პოლიტიკური მოტივებით შესრულდა: ნიკიფორეს სჭირდებოდა დუკების გავლენიანი გვარის მხარდაჭერა, ხოლო მართას ვაჟიშვილისათვის ტახტის შენარჩუნება. მათი ქორწინება, მართას მხრიდან მხოლოდ კონსტანტინესათვის მემკვიდრეობის შენარჩუნებას ემსახურებოდა. არსებობს ვერსია, რომ ნიკიფორე შეყვარებული იყო დედოფალზე და ეს გადაწყვეტილება ამიტომ მიიღო. შესაძლოა ეს სიმართლეს მოკლებული არაა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ დედოფლის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ სამომავლო გეგმებს უკავშირდებოდა.

XI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსთა შორის ღირსეული ადგილი უკავია მიქელ (კონსტანტინე) პსელოსს. ის იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და მწერალი. მისი ბიოგრაფია შეგვიძლია აღვადგინოთ მისივე თხზულებების მიხედვით. მეცნიერული კარიერის პარალელურად პსელოსი წარმატებით მიიწევდა სახელმწიფო სამსახურშიც. ჯერ კიდევ 19 წლის ასაკში მიიღო მდივნის თანამდებობა. ძალიან მალე დაინიშნა მოსამართლედ მესოპოტამიის პროვინციაში. ოთხი წლის შემდეგ კი გადავიდა კეისრის კანცელარიაში. მისი ნაშრომი „ქრონოლოგია“ ორი ნაწილისაგან შედგება, რომელიც მოგვითხრობს იმპერატორების მმართველობის შესახებ კონსტანტინე დუკას იმპერატორად გახდომამდე.

[26] იქვე.
[27] იქვე.

როგორც ცნობილია, მიქელ პსელოსი მიხეილ დუკას აღმზრდელი იყო და თავის ნაშრომში ერთი თავი კონკრეტულად მიხეილ პარაპინაკის დახასიათებისთვის აქვს მიძღვნილი. იგი გადმოგვცემს, რომ პარაპინაკი აღმერთებდა თავის მეუღლეს და არ უნდა გადამეტებული ქება გამოუვიდეს. დედოფალი მისი გვარიშვილობის და შთამომავლობის მიხედვით ყველა სხვა სამეფო ოჯახს აღემატებოდა. სოფოკლეს „აიანტ"-ში მოყვანილი ფრაზა: *„ქალებისთვის დუმილი სამკაულია!"* ყველაზე მეტად შეეფერებოდა დედოფალ მართას. რაც შეეხება მიხეილის ვაჟს, კონსტანტინეს, პსელოსი არაფერს წერს. მიზეზი კი ვფიქრობთ, პირველ რიგში კონსტანტინეს მცირეწლოვნებაა. პსელოსმა ის ჯერ კიდევ ჩვილი ნახა და მას შემდეგ კონსტანტინეს არ მიეცა საშუალება თავისი სახელი დაეტოვებინა ისტორიაში. გარეგნობის შესახებ კი ამგვარად მოგვითხრობს: *„უნდა ვთქვა, რომ არ მინახავს ამგვარი მიწიერი სილამაზე: მისი სახე სრულყოფილ წრედ იყო ჩამონაკვთილი; მისი მსხვილი ცისფერი თვალები სიმშვიდით იყო სავსე, მისი წარბები პირდაპირ სწორ ხაზს ქმნიდნენ".*[28]

მართა სასახლეში დარჩა შვილთან ერთად. ამ პერიოდში იწყება მისი და ძმები კომნენოსების ურთიერთობა. იმპერატორი ხედავდა ალექსი კომნენოსის ნიჭს და ესმოდა მისი წარმატებების შესახებ, გადმოგვცემს ანა კომნენე. მას ალექსიც და მისი ძმა ისააკიც ძალიან უყვარდა და იმპერატორის კარზე ხშირი სტუმრები იყვნენ. ბოტანიატე სიხარულით ხვდებოდა მათ და ხანდახან სუფრაზეც იწვევდა. ამან გამოიწვია მოწინააღმდეგეთა შური, რომლებიც სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ ძმების დაკნინებას იმპერატორის თვალში. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ალექსი კომნენოსმა მოპოვებული გამარჯვებების გამო იმპერატორისაგან დასავლეთის სტრატეგოსობა მიიღო. სამხედრო საქმეში წარმატებებს ისააკიც აღწევდა. ჭკვიანმა ძმებმა იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან მათი მტრები მოახერხებდნენ ბოტანიატეს გადაბირებას და ამიტომ გადაწყვიტეს ყველასათვის დაესწროთ. მათი მოქმედების გეგმა მარტივი იყო, ძმებს სურდათ მიექციათ მართა

[28] მიქელ პსელოსი. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომიV. თბ., 1963. გვ.16-19

დედოფლის ყურადღება. ამისათვის კი სასახლის ქალების კეთილგანწყობა დაიმსახურეს, მათ კი თავის მხრივ წარუდგინეს დედოფალს. მოკლე დროში ისააკ კომნენოსი დაუნათესავდა კიდეც დედოფალს, მან მისი ძმისშილი (ან დისშვილი) შეირთო ცოლად. ანა კომნენე გადმოგვცემს, რომ ისააკი დაუნათესავდა დედოფალს. მისი ცოლი მართას ნათესავი იყო, ხოლო იოანე ზონარა წერს, თითქოს ისააკის მეუღლე ირინე, მართა დედოფლის და იყო. შესაძლოა ი. ანთელავას მოსაზრება, მართასა და გიორგის დედმამიშვილებთან დაკავშირებით სწორიცაა, მაგრამ ის არგუმენტი, რომლითაც პროფესორი ცდილობს დააკონკრეტოს თავისი მოსაზრება, ვფიქრობთ, რომ მთლად სამართლიანი არაა. იგი ამბობს, რომ იყო ორი და მართა და მარიამი, ზონარას ამ ცნობის საფუძველზე შეგვიძლია დავუშვათ მესამე დედმამიშვილის არსებობა, ოღონდ მისი სახელი ირინე იქნება და არა მართა ან მარიამი. ვფიქრობთ, რომ ხსენებული ფაქტი იძლევა საშუალებას დანამდვილებით ვთქვათ, რომ მართა და მარიამი ერთი და იგივე პიროვნებაა. ხოლო მათი სავარაუდო დის შესახებ ინფორმაცია ბოლომდე არ ვამტკიცოთ წყაროების უქონლობის გამო. *„მოახერხა და დაუნათესავდა დედოფალს, მისი დისწული (ან ძმისწული) შეირთო ცოლად“.*[29]

მართას ცხოვრების მოგვიანო პერიოდის შესახებ ცნობები უკვე ანა კომნენესთან გვხვდება. იგი XII საუკუნის ისტორიკოსია. მისი ნაშრომი „ალექსიადა“ წარმოადგენს ინფორმაციის კრებულს XII-XIII საუკუნეების ბიზანტიასა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესახებ. 1083 წელს დაიბადა ანა, ალექსი კომნენოსის ოჯახში. მიიღო ბრწყინვალე განათლება ისტორიასა და გეოგრაფიაში, ასევე შეისწავლა ანტიკური მწერლობა. 1097 წელს ანა მიათხოვეს ნიკიფორე ვრიენოსს. იგი ცნობილი სტრატეგოსის ნიკიფორე ვრიენოსის შვილი იყო და თავადაც სახელგანთქმულიყო სამხედრო საქმის ბრწყინვალე ცოდნით. ნიკიფორე ვრიენოსი ატარებდა კესაროსის და მოგვიანებით პანიპერსევასტოსის ტიტულებს. 1118 წელს, როდესაც გარდაიცვალა ალექსი კომნენოსი. ანას იმედი ჰქონდა, რომ იმპერატორი მისი ქმარი გახდებოდა, მაგრამ იმპერიის

[29] ანა კომნენე, გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. გვ. 49

მმართველი მისი უმცროსი ძმა იოანე კომნენოსი (1118-1143წ.წ.) გახდა. გულდაწყვეტილი ანა გაშორდა საერო საქმეებს და თავი, დედამისის ირინეს მიერ დაარსებულ მონასტერს შეაფარა. 1138 წელს გარდაიცვალა ნიკიფორე ვრიენოსი. ანა კომნენეს 15 წიგნისაგან შემდგარი „ალექსიადა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციათა კრებულს. წყარო მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ანა აღწერილი ისტორიის თვითმხილველია, ხოლო ის რაც მის დაბადებამდე მოხდა, მისთვის ხელმისაწვდომი გახდა წერილების, სიგელების და სხვა დოკუმენტური მასალის სახით. ანა კომნენე ასევე იყენებს ნიკიფორე ვრიენოსის, მიხეილ ატალიატეს და მიქელ პსელოსის თხზულებებს.

თვითმპყობელმა ნიკიფორემ, რომელიც უკვე იმპერატორის ტიტულს ატარებდა, ალექსი კომნენოსი გაგზავნა დასავლეთში ნიკიფორე ვრიენოსის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმ პერიოდში, როდესაც ნიკიფორე ბოტანიატე დაკავებული იყო საიმპერატორო საქმეებით, დასავლეთში მყოფმა ნიკიფორე ვრიენოსმა, რომელიც თავის დროზე გაგზავნილ იქნა მიხეილ პარაპინაკის მიერ, თავად განიზრახა იმპერატორობა და გაწყვიტა ჯერ კიდევ ნიკიფორე ბოტანიატეს გაიმპერატორებამდე, გადადგომოდა მიხეილ დუკას.

ანა კომნენე გადმოგვცემს, რომ მიხეილ დუკამ თავისი ვაჟი, კონსტანტინე პორფიროგენეტი დანიშნა რობერტ გვისკარის ქალიშვილზე.[30] მათი მოსალოდნელი დინასტიური ქორწინება ჩრდილს აყენებდა დუკების გავლენიან გვარს. (თავად ანას დედა, ირინე, იყო იოანე დუკას ვაჟის, ანდრონიკეს ასული).

ხსენებული რობერტ გვისკარი, მხოლოდ ძალაუფლების მოპოვებაზე ოცნებობდა და ცდილობდა როგორმე საიმპერატორო ტახტზე მოხვედრილიყო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მიხეილ VII-სთან დანათესავება. იგი გამოჩნდა მოულოდნელად. არავინ იცოდა მისი წარმომავლობის შესახებ, ფაქტი მხოლოდ ერთი იყო, რობერტ გვისკარს იმპერატორობაზე გაუჩნდა პრეტენზიები. ტახტიდან ჩამოგდებული და ბერად აღკვეცილი მიხეილ დუკა საერო საქმეებს მთლიანად ჩამოსცილდა. რობერტ გვისკარმა კი მოიგონა

[30] ე.ჭყოიძე. კონსტანტინე დუკა (პორფიროგენტის), მართა ბაგრატიონის ძის, პირველი ნიშნობა (1074-1076). კრ. ბიზანტიოლოგია საქართველოში--2. რედ. ნ.მახარაძე. ნ. გიორგაძე. თბ.,2009. გვ.923-929

(ვეყრდნობით კვლავ ანა კომნენეს ცნობებს), თითქოს მიხეილი დაუკავშირდა მას, უკვე ბერად შემდგარი და დახმარება სთხოვა ბოტანიატეს დასამხობად, მიზეზად კი მისთვის ოჯახის წართმევა დაასახელა.

იოანე სკილიცესაც მოეპოვება ამის შესახებ ინფორმაცია. იგი გადმოგვცემს, რომ: *„კაცები გაგზავნა (მიხეილმა) ლონგიბარდიის მფლობელ ფრანგთან, რომელსაც რობერტი ერქვა და მოიყვანა თავისი ვაჟსათვის, კონსტანტინესათვის, ცოლად რობერტის ასული, რომელსაც სახელი შეუცვალეს და ელენე უწოდეს“.*[31] კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით რომ, სახელის შეცვლა ემთხვეოდა დაწინდვის ცერემონიალს ბიზანტიური ტრადიციით.

რობერტმა თავისი ერთი დიდებული, ელჩად გაგზავნა ბოტანიატესთან და მოსალოდნელი ომის დაწყების „საპატიო“ მიზეზები დაუსახელა. ბოტანიატემ არაფერი არ უპასუხა გვისკარის ელჩს და უკან გააბრუნა. გვისკარი დაუკავშირდა დასავლეთის ჯარების დიდ დომესტიკოსს და გაუგზავნა წერილები საჩუქრებთან ერთად, დამეგობრების მიზნით. პასუხის მოლოდინში იმყოფებოდა რობერტი, როდესაც დაბრუნდა მისი ელჩი რაული და არანაირი პასუხი არ მოუტანა ბოტანიატესაგან. რობერტი უფრო მეტად გააბრაზა იმ ფაქტმა, რომ რაულმა თავისი ვიზიტის შეჯამებისას დაურთო მოსაზრება, რომ ბიზანტიელებთან ომი გაუმართლებელი იყო. მიზეზად კი დაასახელა იმ ბერის არსებობა, რომელიც არ იყო მიხეილ დუკა. მაშასადამე გამოდიოდა, რომ მთელი ეს ამბავი, დაკავშირებული შურისძიებასთან, მოგონილი ამბავი იყო. *„მე ვნახე ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ დედაქალაქში, შავი წამოსასხამი აცვია და მონასტერში ცხოვრობს; კარგად დავუკვირდი და საკუთარი თვალებით დავინახე გადაყენებული მეფე“.*[32] ამას დაუმატა ის ამბავი, რომ ალექსი კომნენოსს ნიკიფორე ტახტიდან ჩამოუგდია და

[31] იოანე სკილიცეს გამგრძელებელი. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. გვ.164

[32]ანა კომნენე. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966, გვ. 44.

სასახლიდან გაუძევებია. ხოლო იმპერიის მემკვიდრე, კონსტანტინე პორფიროგენეტი თანამმართველად გამოუცხადებია.

თავი მეოთხე

მართა-მარიამი და ალექსი კომნენოსი

მას შემდეგ რაც ისააკ კომნენოსი დედოფალს დაუნათესავდა, გადაწყვიტა თავის ძმასაც დახმარებოდა. ამბობენ, რომ ძმებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და მოსალოდნელ საფრთხეს ცდილობდნენ ერთმანეთის მაგივრად წინ აღდგომოდნენ. სასახლეში მომსახურე ქალებმა ისააკის შთაგონებით დაიწყეს იმაზე ზრუნვა, რომ დედოფალს ალექსი კომნენოსი ეშვილა. ძმების ხშირმა სტუმრობამ სასახლეში ჭორების აგორება გამოიწვია, თითქოს მართა-მარიამი და ალექსი საყვარლები იყვნენ. მათი

სახელისათვის ჩრდილის შეყენება კი იმპერატორის ეჭვს გამოიწვევდა და ამიტომ, დედოფალმა ერთ დღეს ალექსი ყველა წესის დაცვით იშვილა. ძმებმა ამ ჭკვიანური ნაბიჯის წყალობით ბევრი უსიამოვნება აიცილეს თავიდან.

ამ დროიდან მოყოლებული ძმები თავისუფლად მიდიოდნენ სასახლეში და რჩებოდნენ დედოფალთან. ასეთმა ურთიერთობებმა კვლავ შური აღძრა მათ წინააღმდეგ. ძმები ცდილობდნენ თავიანთი პოზიციების გამყარებას და აპირებდნენ დედოფალთან მისვლას, თავიანთი ზრახვების გასამჟღავნებლად. მაგრამ მათ შეეშინდათ, რომ დედოფალი იმპერატორს უამბობდა ყოველივეს და გადაწყვიტეს ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდნენ.

ნიკიფორემ მოხუცებულობის გამო ვაჟიშვილის ყოლის იმედი დაკარგა და სიკვდილის მოლოდინში შეუდგა ტახტის მემკვიდრის ძიებას. მისი მმართველობის დასასრულს ეს იყო უდიდესი შეცდომა. მას შეეძლო თავისი დარჩენილი სიცოცხლე უზრუნველად გაეტარებინა და სიკვდილის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორი, კანონიერი მეკვიდრე კონსტანტინე პორფიროგენეტი გახდებოდა. თუმცა მან ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა და ვფიქრობთ, შეეწირა კიდეც აღნიშნულ ფაქტს. ტახტის მემკვიდრედ აპირებდა დაესახელებინა, აღმოსავლური წარმომავლობის, მისი, შორეული ნათესავი ვინმე სანადინი. ამ განზრახვით იგი აპირებდა მემკვიდრეობით დაეტოვებინა ის, რაც კანონით მას სრულებით არ ეკუთვნოდა. მსგავსი გეგმა რომ არ ჰქონოდა, დედოფალი მართა უფრო მეტი ნდობით იქნებოდა მის მიმართ განწყობილი. როდესაც მართა-მარიამმა ამის შესახებ შეიტყო, დამწუხრდა და კვლავ იგრძნო შიში კონსტანტინეს ტახტის დაკარგვის გამო. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ძმები კომნენოსები, რომლებიც დედოფალს მუდმივად დახმარების ხელს სთავაზობდნენ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სამშობლოდან შორს მყოფი დედოფლის მეგობრები იყვნენ. *„შენ ხარ ჩვენი ქალბატონი, ჩვენ კი შენი უერთგულესი მსახურნი, რომელნიც მზად ვართ შენი მეუფებისათვის ყველაფერი ავიტანოთ. დე, ნუ გაშფოთებდეს შენ ნურავითარი ფიქრი, დე*

ნუ აღლვებდეს შენს გულს ეჭვები!“.[33] ძმები მთელი ურთიერთობის მანძილზე მოხერხებულად ირგებდნენ მეგობრის როლს. ისინი ცდილობდნენ მათი ჭეშმარიტი ზრახვები არ გამჟღავნებულიყო. ცდილობდნენ დაერწმუნებინათ დედოფალი, რომ მისი და კონსტანტინეს უფლებების დასაცავად მზად იყვნენ ყველაფერზე წასულიყვნენ. თავის მხრივ დედოფალი ცდილობდა კომნენოსებიც დაერწმუნებინა თავის ნდობაში, სინამდვილეში კი დედოფალმა კარგად იცოდა, რომ საიმპერატორო კარზე მისი და კონსტანტინეს დარდი არავის არ ჰქონდა და ყველა საკუთარი ძალაუფლების მოპოვებისათვის იბრძოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დედოფალი ძალიან გაბრაზდა ნიკიფორე ბოტანიატეს გადაწყვეტილების გამო და დაიწყო იმაზე ზრუნვა, თუ როგორ მოეცილებინა მოხუცებული იმპერატორი თავიდან. ვფიქრობთ, რომ ამ სიტუაციაში დედოფლის და კომნენოსების მიზნები ერთმანეთს დროებით ემთხვეოდა და მათ ერთმანეთი გამოიყენეს.

მცირე აზიის ქალაქ კვიზიკის თურქ-სელჩუკების მიერ აღებამ შეაშფოთა ნიკიფორე, მაგრამ კომნენოსები აიმედებდნენ იმპერატორს რომ მოახერხებდნენ ქალაქის უკან დაბრუნებას. გახარებული იმპერატორი მთელ დღეებს გაცხრომაში ატარებდა. ამით სარგებლობდნენ კომნენოსები და უფრო ხშირად ჩნდებოდნენ სამეფო კარზე. მოსამსახურეები დიდი ხნის წინ ჰყავდათ გადაბირებულნი და მთელი ძალღონით ცდილობდნენ დედოფლის კეთილგანწყობის დამსახურებას.

კომნენოსების მტრებმა გადაწყვიტეს ძმების მახეში გაბმა. მათ უნდოდათ იმპერატორის ცრუ ბრძანებით ძმები სასახლეში მოეწვიათ და შემდეგ ყალბი მიზეზით თვალები დაეთხარათ მათთვის. მაგრამ გეგმა ვერ განხორციელდა, არ აღმოჩნდა ძმების მოტყუება ადვილი საქმე. სწორედ ამ მცდელობისას გადაწყდა იმ გეგმის განხორციელება, რასაც ისინი დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდნენ.

ამ მოვლენიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ ალექსი კომნენოსს უბრძანეს სამხედრო ძალების ერთი ნაწილის მობილიზება კვიზიკის დამპყრობელთა წინააღმდეგ

[33] ანა კომნენე. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. გვ.53

გასალაშქრებლად. მან ისარგებლა ამ შემთხვევით და იმ სამხედრო ნაწილების მეთაურებს, რომლებიც მისდამი კარგად იყვნენ განწყობილნი და სთხოვა გამოცხადებულიყვნენ საკუთარი სამხედრო ძალებით. მაშინ ერთი კაცი სახელად გერმანე, რომელიც მოქმედებდა ვორილას დავალებით, მივიდა იმპერატორმთან და ჰკითხა მისი დავალებით იკრიბებოდა თუ არა მთელი ჯარი. ნიკიფორემ მაშინვე დაიბარა ალექსი და დაინტერესდა ამ ფაქტთან დაკავშირებით. კომნენოსს არ უარყვია, რომ ჯარის ერთი ნაწილი მართლაც იკრიბებოდა მისი ბრძანებით, მეორე ნაწილის შესახებ კი არაფერი არ თქვა. ალექსი კომნენოსმა ამ შემთხვევაშიც აჯობა თავის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც თითქოს ცდილობდნენ კიდეც იმპერატორის გაფრთხილებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

ამის შემდეგ ვორილამ, რომელიც თავად იყო დაინტერესებული იმპერატორის ტახტის დაკავებით და სრულიად არ ადარდებდა ნიკიფორე ბოტანიატეს ბედი, გადაწყვიტა ღიად დასხმობა ალექსი კომნენოს თავს. ამ საკითხების განხილვისას ისინი აღარ მალავდნენ თავიანთ გეგმას. მათი საუბარი მოისმინა ერთმა ტომით ალანმა, წოდებით კი მაგისტროსმა და გვიან ღამით გააფრთხილა კომნენოსები. ძმების წინდახედულებამ, ისინი ამჯერადაც გადაარჩინა. სასახლის მოსამსახურეები კომნენოსების მიმართ სიმპათიებით იყვნენ განწყობილნი.

მაგისტროსის მონათხრობმა დააჩქარა ალექსის გეგმის განხორციელება. მან ხსენებული ალანი შეიყვანა დედასთან და ძმასთან. რომ მოისმინეს მისგან ეს საშინელი ცნობა, მიხვდნენ, ნიკიფორე ბოტანიატე მათ გეგმებს წყალში ჩაყრიდა. ამიტომ გადაწყვიტეს მოქმედებაზე გადასვლა. არსებობს ვერსია, რომ თავად დედოფალმა მართამ გაგზავნა ხსენებული ალანი კომნენოსებთან. ამ ვერსიის არსებობა, ამართლებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დედოფალი თავად აპირებდა კომნენოსების გამოყენებას. არაა სიმართლეს მოკლებული, რომ სწორედ ამ განზრახვით მიეგზავნოს მაგისტროსი, რათა მისი, დედოფლის სახელი არსად გაუღერებულიყო.

ანა კომნენე მოგვითხრობს, რომ ალექსი დაუკავშირდა ბაკურიანს და სთხოვა დახმარება ნიკიფორეს წინაარმდეგ ბრძოლაში. ხსენებული პიროვნების შესახებ ორი ვერსია არსებობს. როგორც დიუკანჟი აღნიშნავს, ის იყო გრიგოლ ბაკურიანი სევასტოსი, რომლისადმისაც მიძღვილია თეოფილაქტე ბულგარელის ორი წერილი. ამ წერილებიდან ვიგებთ, რომ მისი ცოლი იყო ნიკიფორე კომნენოსის (ალექსი კომნენოსის ძმის) ასული. დომესტიკოს ბაკურიანს, ალბათ გრიგოლის მამას, ხშირად იხსენებს ანა კომნენე. ამ მოსაზრების საპირისპიროდ Я. Любарский აღნიშნავს, რომ ანა კომნენე ცდება მის წარმომავლობასთან დაკავშირებით: „На самом деле Бакуриани происходил из грузинского рода“.[34] მისგან დახმარების იმედი, რომ გაუჩნდათ კომნენოსებს მოინახულეს მეორე მოკავშირე უბერტოპულე, რომელმაც აღუთქვა დამხარება.

1081 წელს, როგორც კი ნიკიფორე ტახტიდან ჩამოაგდეს, ძმებმა მასთან გაგზავნეს თავიანი სიძე მიხეილი, რომელმაც უკვე ყოფილი იმპერატორი ნავით წაიყვანა პერიბლეპტის სავანეში ე.წ. რომანიაში. მიხეილი ურჩევდა იმპერატორს ბერად აღკვეცილიყო. ბოტანიატეს კი სურდა საქმე გადაედო, მაგრამ კომნენოსებს ეშინოდათ ახალი აჯანყება არ მომხდარიყო და ამიტომ ნიკიფორე თითქმის ძალით შეაყენეს ბერად. მოგვიანებით, როდესაც ნიკიფორეს შეეკითხნენ რას გრძნობდა ამგვარი დაცემის შემდეგ, მან უპასუხა, რომ მხოლოდ ხორცის ნაკლებობა აწუხებდა, ხოლო სხვა მხრივ არანაირ დანაკლის არ განიცდიდა. ამ წყაროს საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნიკიფორემ საბოლოოდ დაკარგა ტახტზე დაბრუნების იმედი და ბედს შეეგუა.

დედოფალი თავის ვაჟთან ერთად სასახლეში ცხოვრობდა. ალექსი კომნენოსმა კონსტანტინე თანამმართველად გამოაცხადა, ხოლო დედოფალი მართა, როგორც იმპერატორის დედა, დედა-დედოფლის სტატუსით სარგებლობდა. ძმები კომნენოსები, რომლებიც მართამ დაინათესავა მის სასახლეში დარჩენის მიზეზებს ამართლებდნენ. დედოფალს არ სურდა და არ გამოდიოდა სასახლიდან რადგან ეშინოდა, რომ მისი ვაჟი განსაცდელში აღმოჩნდებოდა.

[34] ანა კომნენე. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. გვ.59

კონსტანტინე ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ალექსის იმპერატორად კურთხევის დროს ის შვიდი წლის ასაკში იყო და უკვე გამოირჩეოდა თავისი მიმზიდველობით. მის შესახებ ანა წერს: *„ თვით საქმის არსებითი მხარე მათქმევინებს ამას, არა მარტო სიტყვა-პასუხით, არამედ როგორც შემდეგში ამბობდნენ შემდეგი მომსწრეები, ყოველგვარი მოძრაობით და ხერხებით, რომლებსაც თამაშის დროს იყენებდნენ; თმის და კანის ფერით ის იყო ქერა, რძესავით თეთრი, დაბრაწული, და ჰგავდა კვირტებიდან ახლად გამოსულ ვარდებს. ხოლო თვალები ღია ფერისა კი არ ჰქონდა, არამედ შევარდნის თვალებს ჰგავდნენ და ისე ბრწყინავდნენ წამწამებიდან, როგორც ოქროს ბუდიდან“.*[35]

დედოფალმა სასახლეში დარჩენა მხოლოდ შვილის გამო გადაწყვიტა, მაგრამ ჭორები არ წყდებოდა. ვერსია ალექსის და მართას ურთიერთობის შესახებ განსაკუთრებით გაძლიერდა, მაშინ როდესაც ალექსი იმპერატორი გახდა. მიიღო თუ არა სკიპტრა, თავისი მეუღლე, რომელიც მაშინ 15 წლის იყო, მისი დები, დედა და კესარი (საკუთარი პაპა) დატოვა ქვედა პალატებში. ხოლო ძმების და დედის გარემოცვაში ავიდა ზედა პალატებში, როგორც ეს მიღებული იყო იმდროინდელი ტრადიციით. ამგვარად დედოფლის დარჩენა სასახლეში კვლავ კითხვებს ბადებდა, ამას ემატებოდა ის გარემოებაც რომ დედოფალი არ ენდობოდა დუკების გვარს. სწორედ ამიტომ კესარი იოანე დუკა ცდილობდა რაც შეიძლება მალე გათავისუფლებულიყო მართასაგან. ამ მიზნით ის არწმუნებდა დედოფალს მოეთხოვა ალექსი კომნენოსისათვის სიგელი მისი და მისი ვაჟის უსაფრთხოებისათვის და გასცლოდა სასახლეს. იოანე დუკა ცნობილია, რომ თავგამოდებით ურჩევდა დედოფალს ჯერ კიდევ ბოტანიატეს აჯანყების დროს, ცოლად გაჰყოლოდა ნიკიფორეს და ამით დაეცვა ტახტი კონსტანტინესათვის და სწორედ ეს იოანე ახლა, ცდილობდა მართა თავიდან მოეშორებინა.

მართამ კარგად იცოდა, რომ მისი შვილის მემკვიდრეობას საფრთხე ბევრჯერ დაემუქრა და არც ახლა აპირებდა დანებებულიყო. როგორც აღვნიშნეთ, მან კომნენოსები

[35] ანა კომნენე. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. გვ.63-64

თავად გამოიყენა საკუთარი მიზნებისათვის. დაეხმარა ტახტის დაკავებაში და სანაცვლოდ წინასწარ შეუთანხმდა ალექსი კომნენოსს მისი ვაჟის თანაიმპერატორად კურთხევაზე.

როგორც კი ავიდა ალექსი კომნენოსი საიმპერატორო ტახტზე მართ-მარიამმა მაშინვე მოსთხოვა დაპირებულის შესრულება. დედოფალმა მიიღო წითელი მელნით დამოწმებული და ოქროს ბეჭედ-დასმული სიგელი, რაც ადასტურებდა კონსტანტინეს არამარტო ხელშეუხებლობას, არამედ იმასაც რომ პორფიროგენეტი გახდებოდა მომავალი იმპერატორი. მას შემდეგ რაც დედოფალმა მიიღო შვილისათვის იმპერატორობის გარანტია, მან დატოვა სასახლე და დასახლდა მანგანის მიდამოებში კონსტანტინე მონომახის მიერ აგებულ სასახლეში.

იმხანად კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემია ცნობილი იყო თავისი საგანმანათლებლო კერით. იგი დააარსა კონსტანტინე მონომახმა, არსებულ აკადემიაში მიიღეს განათლება ცნობილმა ქართველმა სწავლულებმა იოანე პეტრიწმა და არსენ იყალთოელმა. მანგანის აკადემიამ არსებობა შეწყვიტა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ.

ალექსი კომნენოსი უკვე იმპერატორი იყო, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტი წითელი ფერის სანდლებში გამოწყობილი ოფიციალური ღონისძიებების დროს თან ახლდა იმპერატორს.

1094 წელს ალექსი კომნენოსის ნადირობის დროს თან ახლდა ახალგაზრდა დუკა. ისინი დაბანაკდნენ ქალაქ სერთან, რომლის ახლოსაც მდებარეობდა კონსტანტინეს სააგარაკე მამული. მან სთხოვა ალექსი კომნენოსს, რომ გაჩერებულიყვნენ მის სასახლეში. არც მეორე დღეს გაუშვა კონსტანტინემ იმპერატორი. სწორედ მეორე დღის ბოლოს გადაწყვიტა დიოგენემ გეგმის სისრულეში მოყვანა. მეფის აბანოში შეპარული დიოგენე მსახურმა იპოვა და ასე გახდა ცნობილი შეთქმულების არსებობა. როდესაც სასახლიდან გაიყვანეს დიოგენე, იმპერატორს ეჭვი დაებადა. კითხვებს კი რამდენიმე ვითარება იწვევდა. ნიკიფორე დიოგენე, მართას პირველი მეუღლის მიხეილ დუკას ნახევრძმა იყო, რომელიც მართას ძალიან დაუახლოვდა. თავად დედოფალი ამ ფაქტს

მათი ნათესაობით ხსნიდა, მაგრამ ალექსი კომნენოსისათვის ეს საკმარისი არგუმენტი არ აღმოჩნდა. იმპერატორმა იგრძნო, რომ საფრთხე ემუქრებოდა და დაიწყო ამბების გახსენება იმპერატორად გამოცხადების შემდეგ.

ალექსი კომნენოს რთულ ვითარებაში მოუწია ტახტის დაკავებამ. იგი ებრძოდა ქვეყნის შიგნით ოპოზიციას. ადგილი ჰქონდა რამდენიმე შეთქმულებას და მისი მოკვლაც კი სცადეს. ერთ-ერთი ასეთი შეთქმულების მეთაური კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ყოფილი თანამებრძოლი ნიკიფორე დიოგენე აღმოჩნდა. ეს იყო ყველაზე კარგად ორგანიზებული, ყველაზე საშიში შეთქმულება მისი იმპერატორობის ისტორიაში და მასში მონაწილეობას იღებდა მთელი ბიზანტიური ელიტა.

იმავე ღამით ეცადა დიოგენე გაქცეულიყო და დახმარება კონსტანტინე პორფიროგენეტს სთხოვა. ეს ანა კომნენეს ცნობებია და ის ამბობს, რომ ახალგაზრდა უფლისწული არ დაეხმარა იმპერატორის წინააღმდეგ მოქმედებაში. ანა კომნენე იმასაც დასძენს, როდესაც მოგვიანებით შეთქმულები გაჩხრიკეს და ბევრი მამხილებელი საბუთი იპოვეს მათ შორის მართა დედოფალიც ფიგურირებდა. შეთქმულების მიზანი იმპერატორის მხოლოდ ტახტიდან გადაყენება არ ყოფილა, მათ სურდათ ალექსი კომნენოსის სიკვდილი, ხოლო მართა მართალია საქმის კურსში იყო, მაგრამ სასტიკად ეწინააღმდეგებოდა იმპერატორის მოკვლას. ანა დიდი სიმპათიით იყო განწყობილი დედოფლის მიმართ, ხოლო კონსტანტინეზე, რომელზეც ის დანიშნულიც კი იყო უნაზესი სიტყვებით მოგვითხრობს. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ მონაკვეთში ანა კომნენე ცდილობს ჩრდილი არ მიაყენოს დედოფლის სახელს. მეტრეველი როინი და სამუშია ჯაბა, ფიქრობენ რომ, დედოფალმა, რომელმაც შეიტყო, რომ ალექსი კომნენოსის მიერ, (მას შემდეგ რაც შეეძინა მემკვიდრე) იოანეს თანამმართველად გამოაცხადა გააზრებულად მიიღო შეთქმულებაში მონაწილეობა. ვეთანხმებით, რომ სამართლიანი შენიშვნაა. მართას პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიზს თუ გავაკეთებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი ბიზანტიაში მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი იყო შვილის საიმპერატორო ტახტზე დასმა. ალექსის წინამორბედი იმპერატორებისათვის

ტახტის დაკარგვის უმთავრესი მიზეზი იყო მცდელობა ჩამოეშორებინათ კონსტანტინე დუკა საიმპერატორო საქმიანობიდან. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ალექსი კომნენოსის ნაბიჯი, დედოფალს არ მოეწონა და კვლავ მიიღო მონაწილეობა შეთქმულებაში. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ იმპერატორის მკვლელობის წინააღმდეგ გამოსვლა, დაცული ანა კომნენენსთან მეტწილად სიმართლეს შეესაბამება. დედოფალს სურდა შვილის მემკვიდრეობის შენარჩუნება და არა ვინმეს სიკვდილში მონაწილეობის მიღება. მითუმეტეს, რომ ალექსისთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა.

სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინებით, შეგვიძლია ავხსნათ ალექსის გადაწყვეტილება მართასა და მისი ვაჟის დასჯის საქმეში. მხილებული პირები, მკაცრად დაისაჯნენ. მართა დედოფალი კი გადაასახლეს პინკრიპოს კუნძულზე. მოგვიანებით კი, როდესაც გარდაიცვალა ახალგაზრდა კონსტანტინე დუკა, მართამ შეწყვიტა ბრძოლა პოლიტიკურ სივრცეში, ვინაიდან შვილის დაკარგვა დიდი დანაკლისი აღმოჩნდა მისთვის და მას არ ჰქონია ბრძოლის გაგრძელების მიზანი.

მართას გადასახლებაში ყოფნის დროს წერილი მისწერა ბულგარეთის არქიეპისკოპოსმა თეოფილაქტემ. წერილის შინაარსიდან ვიგებთ, რომ ის პირველ რიგში ბოდიშს უხდის რომ ვერ ეწვია და შემდეგ ახსენებს მართას დაპირებას, რომლის თანახმადაც ის დაჰპირებია დახმარებას არქიეპისკოპოსის ძმას. აქედან (და არა მხოლოდ) შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მართა ყველაფრის მიუხედავად გავლენიანი პიროვნება იყო სამეფო კარზე.

თავი მეხუთე

დედოფლის სახე შუა საუკუნეების შემოქმედებაში

გვინდა შემოგთავაზოთ მართა-მარიამის გამოსახულებები შუა საუკუნეების ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ყველაზე ადრეული წყარო, რომელიც მოგვითხრობს მართას შესახებ „გიორგი მთაწმინდელის“ ცხოვრებაა. გიორგი მცირეს შესანიშნავად აქვს აღწერილი მისი სახე. გასაკუთრებით დიდი ემოცია იგრძნობა იმ მომენტის თხრობისას, როდესაც დედოფალი თეოდორა გარდაიცვალა და დარბაზში პატარა მართა შემოიყვანეს. წმინდა მამა ვერ ფარავს გაოცებას და გადმოგვცემს უჩვეულო სილამაზეს. მის მიერ ამ დღეს ნათქვამი ფრაზა ცხრა წლის შემდეგ ახდება და დედოფალი მარიამი შეახსენებს გიორგი მთაწმინდელს მის ამ *წინასწარმეტყველებას: „ უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“.*[36] გიორგი მცირე, მართას ბიზანტიაში დედოფალ თეოდორას მიერ გამოძახებას შელამაზებულად გადმოგვცემს. იგი მოგვითხრობს, რომ დედოფალმა მართა „შვილად თვისად აღსაზრდელად“ სთხოვა ბაგრატს, სინამდვილეში კი მართა, როგორც უკვე აღვნიშნეთ მისი პოლიტიკური ცხოვრების დახასიათებისას, მძევალი იყო, მამის ბაგრატ IV-ის მსგავსად 1022-1025 წლებში.

[36] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967. გვ.141

დედოფლის ყველაზე ადრეული და ჩვენამდე მოღწეული მხატვრული პორტრეტი ტიხრული მინანქრის სახით, ხახულის კარედის საპატიო ადგილზე, ხატის შუბლზეა გამოსახული. მართა აქ მიხეილ VII დუკასთან ერთადაა გამოსახული. ცნობილია, რომ ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერში საგანგებოდ ჩამოატანინა ხახულის მონასტრიდან. ხატი თავდაპირველად ძალიან სადა და ნაკლებად გადატვირთული იყო, სავარაუდოდ ის შემდეგში შეამკეს გელათის მონასტერში მრავალრიცხოვანი ძვირფასი ქვებითა და ტიხრული მინანქრის ნამუშევრებით. დავით აღმაშენებელი როგორც ჩანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მამიდის გამოსახულებას. სხვაგავარად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ ხატის გადატანა გელათის მონასტერში მოხდა დედოფლობის 30-40 წლის შემდეგ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იყო საქართველოს მეფისა და მამიდის დიდი სიყვარულის შედეგი.

ხახულის ხატზე კიდევ არის ტიხრული მინანქრის რამდენიმე ნიმუში, რომლებიც სავარაუდოდ ბიზანტიის საიმპერატორო კარმა გამოუგზავნა საქართველოს. აკად. შ. ამირანაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხატის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებში კიდევ სამი მედალიონია მოთავსებული მართას გამოსახულებით. მარცხენა ნაწილში, მოთავსებულია მთავარანგელოზის მიერ დედოფლის კურთხევის სცენა. შემდეგ სცენაზე ის იოანე ნათლისმცემელთანაა გამოსახული. მარჯვენა მხარეს ღვისმშობელია გამოსახული, რომელიც ორ დედოფალს აკურთხებს. დედოფლებიდან ერთი უფრო მაღალია და ალბათ დედოფალ მარიამ არწრუნს გულისხმობს, მართას ბებიას, ხოლო შედარებით პატარა ზომის დედოფალი თავად მართაა. [37]

დაახლოებით 1074-1078 წლებშია შექმნილი პარიზის განთქმული ბერძნული ხელნაწერი, მართა-მარიამის გამოსახულებით. წარწერის თანახმად, გამოსახულ სცენაში მართას გვერდით მისი მეუღლე ნიკიფორე ბოტანიატეა გამოსახული. კვლევის საფუძველზე კი დადგენილია, რომ თავდაპირველად ბოტანიატეს გამოსახულების ქვეშ

[37] შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბ., 1972. გვ.22-24

მიხეილ პარაპინაკი იყო აღბეჭდილი. სავარაუდოდ, 1078 წელს მისი გამოსახულება გადააკეთეს.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემდეგი ორი გამოსახულება მართა-მარიამის პირველ ქმართან და შვილთან კონსტანტინე პორფიროგენეტთან, 1074-1080 წლებით თარიღდება ბერძნულ ხელნაწერში. დღეს ეს ხელნაწერი პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.

მართა დედოფალი გამოსახულია სხვადასხვა ბიზანტიურ ოქროსა და ვერცხლის მონეტებზე. როგორებიცაა „ტეტარტერა“ და „მილიარესია“.

ცნობილი მეცნიერი რუთ დე კოლენბერგი მართას მინანქრულ გამოსახულებად მიიჩნევს მონტე სან ანჯელოს ბრინჯაოს კარიბჭეზე, სადაც იგი გამოსახული უნდა იყოს მიხეილ VII დუკასთან ერთად. მეცნიერი ამტკიცებს, რომ მოგვიანებით ამოუშლიათ მისი სახელი. ის ასევე ვარაუდობს, რომ ვენეციის სან მარკოს განთქმულ პალლა დ'ოროზე თავდაპირველად მართა იყო გამოსახული კვლავ მიხეილ პარაპინაკთან ერთად და ეს ნიმუშიც გადაკეთებულია.

მართა დედოფლის ყველაზე ვრცელ პოლიტიკურ პორტრეტს ანა კომნენე აყალიბებს. მას არაერთი პასაჟი აქვს დათმობილი მისთვის, სადაც აღწერს მის ოჯახს, ისტორიულ სახეს და ასევე მის გარეგნობას. ანა განსაკუთრებით ბევრს მოგვითხრობს 1094 წლის მოვლენებამდე. ავტორი ვერ მალავს მის მიმართ გრძნობებს და ყველანაირად ხაზს უსვამს დედოფლის სილამაზეს, გონიერებას, ქცევებს, მის სიტყვა-პასუხს და გადმოსცემს ავის გულწრფელ სიმპათიას. *„დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა---ყველაფერი ეს აღემატებოდა ფერწერასა და ხელოვნებას. არც აპელსს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის მსგავსი რამ ქანდაკება...ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთეთან, მართლაც რომ არავის უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება,*

რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით იმეროსი, რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე".[38]

ბევრი ბიზანტიელი მწერალი შეეხო მართა-მარიამის თემას, ზოგიერთმა მათგანმა, ევსტრატიოს ნიკეელმა და თეოფილქტე არხიდელმა, საკუთარი თხზულებები მიუძღვნეს მას. დედოფლის პიროვნება შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული გმირი გახდა. მისი ცხოვრება სხვაგვარად რომ წარმართულიყო, შესაძლოა უფრო მეტი ყურადღება მიექციათ შემოქმედებით პირებს.[39] ხშირადაა წარმოდგენილი ლიტერატურაში მარიამ დედოფალი თავის ვაჟთან ერთად, სახვით ხელოვნებაში კი მხოლოდ ორჯერ ფიქსირდება: პირველი პეტერბურგის ხსენებული ხელნაწერის მინიატურა და მეორე ერთადერთი კედლის მხატვრობაში, აღმოჩენილი პაპიკიონის მთაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად. [40]

გამოთქმულია მოსაზრება მისი მონაზვნად აღკვეცის შესახებ, ამ ვერსიას განსაკუთრებით, ემხრობა იოანე ზონარა. ყოველ შემთხვევაში არ არსებობს წყარო, რომელიც ამ ვერსიას გაამყარებს. დანადვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ დედოფალი მონაზვნად აღიკვეცა ეს მოხდა 1104-1105 წლების შემდეგ, რადგანაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სინოდიკონში ის „ავგუსტა მართად „ მოიხსენიება. მართა დედოფალი დიდი მფარველი იყო ეკლესია-მონასტრებისა. მისი როლი ქართული ეკლესია-მონასტრების დაარსების საქმეში იკვეთება ბევრ ქართულ წყაროში. მისი სახელი მოიხსენიება ათონის ივერთა მონასტერსა და პალესტინის ქართულ სავანეებში. იერუსალიმის დედათა მონასტერში, ხოლო კაპპათა მართასა და დედამისის ბორენა დედოფლის მიერაა დაარსებული და მათ მთავარ ქტიტორებად წარმოაჩენს. მართას ოჯახის წევრებმა ბევრი ეკლესია და მონასტერი დაარსეს როგორც საქართველოში ასევე

---

[38] ანა კომნენენე. გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. ტომი VI. გვ.68-69

[39] მიქაბერიძე ა. მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. ქართული დიპლომატია წელიწდეული, ტომი IV. თბ.,1997, გვ.118-140

[40] იქვე. გვ. 140.

მის ფარგლებს გარეთაც. მისი ცხოვრების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უცხო ქვეყნის მიწაზე ეკლესია-მონასტრების დაარსების ინიციატორი თავად მართა იყო.

უკვე დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს მართა დედოფლის აღმშენებლობითი საქმიანობა თრაკიაში, პაპიკიონის მთაზე. მეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ მართა შესაძლოა სხვა ეკლესია-მონასტრების დამაარსებელიც აღმოჩნდეს ბიზანტიის იმპერიის დასავლეთ მხარეში.

თავი მეექვსე

სიცოცხლის უკანასკნელი წლები

როდოპის მთები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბიზანტიის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში. დღეს როდოპის მთები ორ ქვეყანას მოიცავს: მისი ჩრდილოეთი ნაწილი ბულგარეთში მდებარეობს, ხოლო სამხრეთ ნაწილი საბერძნეთის კუთვნილებაა. მთების უკიდურესი სამხრეთით მდებარეობს ეგეოსის ზღვა, რომლის სანაპიროებამდეც ნაყოფიერი მიწები იყო გადაჭიმული და მათი დიდი ნაწილი ბიზანტიის იმპერიის ცნობილ სარდალს გრიგოლ ბაკურიანის ძეს ეკუთვნოდა. როდოპის მთის სამხრეთ კალთებზე გამოიყოფა მცირე ქედი, რომელსაც პაპიკიონის მთა ჰქვია. უძველესი დროიდან მოყოლებული ამ მხარეს თრაკია ეწოდება, რომელიც მდიდარია ანტიკური და

ბიზანტიური ხანის ძეგლებით. თავად პაპიკიონზე კი ბიზანტიური წყაროების მიხედვით XI-XIV საუკუნეებში სამონასტრო კომპლექსი მდებარეობდა.

ბოლო ხანებში პაპიკიონის მთაზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბერძენი არქეოლოგი ნიკოს ზიკოსი. ამ არქეოლოგიურ გათხრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვისაც. ვინაიდან ბერძენი კოლეგები ინტერსს იჩედნენ ჩვენი კულტურის მიმართ და გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი. ამას დაერთო ის ფაქტიც, რომ თავად ნ. ზიკოსი ჩამოვიდა საქართველოში და მოახდინა სამეცნიერო წრეების წინაშე აღმოჩენილი მასალების წარდგენა. ეს მოხდა ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციაზე. ამ შეხვედრის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ მოხდეს თრაკიის მხარის ანტიკური და ბიზანტიური პერიოდის მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების გამოფენა, რათა ხსენებული რეგიონი უფრო აქტუალური გახდეს მკვლევართა შორის. [41]

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ნიკოს ზიკოსის აღმოჩენა მრავალმხრივ იქნა აღიარებული. ქ. თესალონიკის არქეოლოგთა ყოველწლიურ თავყრილობაზე მის მიერ წარმოდგენილი ანგარიში აღიარებულ იქნა ბერძნების მხრიდან. ამ არქეოლოგიური გათხრით დადასტურდა მართა დედოფლის თრაკიაში მოღვაწეობისა და გარდაცვალების ფაქტი. გასაიდუმლოებურ სამარხში აღმოჩნდა ბერძნულწარწერიანი ოქროს ბეჭედ-საბეჭდავი და ქტიტორული გამოსახულება. აღსანიშნავია, რომ ბერძენმა მეცნიერებმა გამოიჩინეს დიდი კოლეგიალობა და საშუალება მისცეს ქართველ მეცნიერებს მოენახულებინათ სამონასტრო კომპლექსი და ადგილზე შეესწავლათ არქეოლოგიური მასალა.

დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამონასტრო კომპლექსი მდიდარი და კერძო ტიპისაა. მისი არსებობის შესახებ წყაროებში ინფორმაცია არ მოგვეპოვება. არაა აღმოჩენილი რაიმე სახის მინიშნება ან ეპიგრაფიკული მასალა, როდის ან ვის მიერაა აგებული მონასტერი, არ ვიცით არც ის თუ ვისი სახელობისაა.

[41] მიქაბერიძე ა. მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული ტომი IV. თბ., 1997. გვ.118-122

მონასტერში მდებარეობს სამნავიანი მთავარი ეკლესია, რომელსაც „კათოლიკონი“ ეწოდება. მას როგორც ირკვევა, ადრე გუმბათი ამშვენებდა. ნათლად იკვეთება ეკლესიის მშენებლობის ორი ფაზა. თავდაპირველად მცირე ზომის ეკლესია ყოფილა, მოგვიანებით კი გაუდიდებიათ. კათოლიკონის გვერდით არის სამზარეულო და სატრაპეზო, რომელიც დაახლოებით 20 კაცს დაიტევდა. ეკლესიის ჩრდილოეთით ვხვდებით უშუალოდ დიდი ზომის წყლის რეზერვუარს, რომელიც ისეთი რაოდენობის წყალს იტევს, რომ დაიბადა კითხვა, ხომ არ ამარაგებდა რეზერვუარი სხვა, ახლოს მდებარე შენობებს.

მონასტრის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა 120 ბიზანტიური მონეტა, რომელთაგან ერთ-ერთზე, ვერცხლის „მილერისიაზე“, მართა დედოფლისა და ნიკიფორე ბოტანიატეს გამოსახულებაა მოცემული.[42] მთავარ ეკლესიაში გამოვლინდა კედლის მხატვრობის ფრაგმენტები, რომლებიც თავისი სტილით „დედაქალაქისეულად“ შეიძლება ჩაითვალოს. საკურთხეველთან ნაპოვნია პატარა ზომის ტიხრული მინანქრის ერთი ძვირფასი მედალიონი, რომელიც ხატს ან სხვა რომელიმე ლიტურგიკულ ნივთს ამკობდა და ალბათ, შესაძლებელია რაიმე პარალელის მოძებნა ქართულ კოლექციაში. [43]

როდოპის მთებში აღმოჩენილი ტიხრული მინანქრის მედალიონი გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული სტილით. მიკვლეული მინანქრის ნიმუში კონსტანტინოპოლის საოქრომჭედლოშია დამზადებული და თარიღდება XI საუკუნის მეორე ნახევრით ან XII საუკუნის დასაწყისით. ცნობილია, რომ ბიზანტიის დედაქალაქს ამ სფეროზე და აბრეშუმის წარმოებაზე მონოპოლია ჰქონდა დაწესებული. შუა საუკუნეების ბიზანტიაში ტიხრული მინანქარი და აბრეშუმი მასობრივად იწარმოებოდა. იმპერატორები დიპლომატიური საჩუქრების სახით მუდვიმად გზავნიდნენ თავიანთ ნაწარმს უპირატესობის დასამტკიცებლად. სავარაუდოა, რომ დედოფალი მართა როგორც ხელოვნების დარგის დიდი მფარველი, ამ კულტურასაც მფარველობდა. მისი ხელშეწყობით XI-XII საუკუნეების

[42] Bellinger A. Grierson Ph. Catalogue of the Bizantine coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection,III, 2. PARIS 1970.,

[43] მიქაბერიძე ა. მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული ტომი IV. თბ.,1997. გვ.124

საქართველოს მინანქრების კოლექცია დიდად გამდიდრდა ბიზანტიური ნიმუშებით. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, რომ ბიზანტიაში მოხვედრილი ქართველი ბერები, სტუდენტები თუ პროფესიონალი ოქრომჭედლები დედოფალ მართას დახმარებით სწავლობდნენ ამ ხელობას, რათა სამშობლოში აეღორძინებინათ ეს დარგი.

ხსენებული ეკლესია ქრონოლოგიური განხილვითაც ორ ფენას მოიცავს. ფერწერის ორივე ფენა გამოირჩევა მკაცრი სტილით, შესრულებულია მდიდრული საღებავებით, რაც იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, მდიდარი ქტიტორების არსებობა.

არქეოლოგიურმა მონაცემებმა ცალკე გამოყვეს სამარხის თემა. მონასტრის მთელ კომპლექსში მოხდა ბევრი საფლავის დამუშავება. როგორც ჩანს, მონასტრის ტერიტორია შემდგომში საერთო სასაფლაოდ გამოუყენებიათ. ეკლესიის სამხრეთით შეინიშნება ორი ან სამი ამოშენებული სამარხი, რომლებიც გამორჩეულია სხვებისაგან და სავარაუდოდ წინამძღვრების ან მღვდელმთავრებისთვის იყო გამოყოფილი (ან სულაც ფეოდალთათვის). სხვა დანარჩენიი სამარხები არაფრით არ გამოირჩეოდნენ და არანაირ ინფორმაციას არ ინახავდნენ.

ყურადღება მიიპყრო მხოლოდ ერთმა სამარხმა, რომელიც ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან, ღია ცის ქვეშ მდებარეობდა. სხვებისაგან მას გამოარჩევდა მკვიდრად ნაგები სამარხი, რომელიც ზემოდან გადახურული იყო დიდი თლილი ქვით, რითაც ჰერმეტულად დაუხურავთ. აღნიშნული სამარხი, ღრმა არ იყო, მაგრამ გამოირჩეოდა იმითაც, რომ ის ცარიელი აღმოჩნდა. სამარხში გარდაცვლილის ჩონჩხის მაგივრად, ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი ნივთები ელაგა. არქეოლოგებმა მიაკვლიეს რკინის ლურსმნებს, რომლებიც ხის კუბოს კონტურებს გამოკვეთდნენ. აგრეთვე ნაპოვნია მდიდრული ქსოვილის რამდენიმე ფრაგმენტი. აუცილებლად ცალკე აღნიშვნის ღირსია ბაჯაღლოს ოქროს ბეჭედ-საბეჭდავი, რომელიც სამარხის ფსკერზე იდო მტვერსა და მიწაში არეული. მასზე ამოტვიფრული წარწერიდან ნათლად და გარკვევით იკითხება: „MAPHAC BOTONIATHNA”.

არქეოლოგიური მასალის გაცნობამ და ანალიზმა ქართველი მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე და შესაძლებელი გახდა მთლიანად გაეზიარებინათ ბერძენი კოლეგების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქმე გვაქვს დედოფალ მართას სამარხთან. ვინაიდან „ვოტანიატე“, გნებავთ „ბოტანიატე“ ბიზანტიის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც დედოფალ მართას გულისხმობდა.

აღნიშნული დასკვნები იმითაც ძლიერდება, რომ მთავარი ეკლესიის ცენტრალურ შესასვლელში კედელზე გვხვდება ქტიტორული კომპოზიცია, რომელზე არისტოკრატული გარეგნობის ორი პიროვნებაა გამოსახული: მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალისა და ბავშვის ფიგურები. ქალბატონის შესამოსელიდან ყურადღებას იქცევს, ვარძიის მონასტრის ფრესკებზე დაცული თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულების მსგავსად, მსხვილი საყურეები. ქალი ხელით მიუთითებს 12-14 წლის ასაკის ყმაწვილზე. ფიგურები კომპოზიციური განლაგებითა და ფუნქციუერი დატვირთვით მიგვაჩნია, რომ მონასტრის დამაარსებელნი არიან. კედლის მხატვრობა ნაწილობრივ დაზიანებულია და სამწუხაროდ არც ერთი წარწერა არ ახლავს თან. ამის მიუხედავად არქეოლოგი ნიკოს ზიკოსი მიიჩნევს, რომ გამოსახული პიროვნება დედოფალი მართაა თავის შვილთან, კონსტანტინე პორფიროგენეტთან. თავის მტკიცებას ამყარებს ქალბატონის ძვირფასი სადედოფლო გვირგვინით.

საბეჭდავის წარწერაში გამოყვანილი „მარია“ იპყრობს ყურადღებას თავისი ორთოგრაფიული შეცდომით. ამგვარი შეცდომები ხშირი იყო ყველაზე ოფიციალური სახის წარწერებშიც კი ბიზანტიური ხანის ეპიგრაფიკაში. მეორე სიტყვა, სიტყვა **„ვოტოონიატინა“** თითქმის გამართულია გრამატიკულად, მაგრამ მეორე მარცვალში ასობგერა ომეგა კითხვის ნიშნებს ბადებს. თუმცა ჩვენ მოგვეპოვება მეორე წყარო, სადაც ვხვდებით ამგვარ სიტყვას. ეს გახლავთ კონსტანტინოპოლის „ტრიანდაფილიუს“ მონასტრის 1081 წლის ხელნაწერი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

„ითარგმნა უკუე წიგნი ესე ყოვლად-შუენიერსა ტრიანდაფლიუს, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეს რეცა ხუცესმონაზონისა, ...მეფობასა

აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა და მოღუაწებითა ვიწყე თრგმნად წიგნთა საღმრთორა ელენურისაგან ქართულად: ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართა მისვე გიორგის დისასა და მეფობასა ნიკიფორე ***ბოტონიოტისა*** *და ალექსი კომნიანოსისა, მას ჟამს ოდეს ბაგრატის ასული, მარიამ დედოფალი, აღმოსავლეთით კონსტანტინოპოლეს შემოვიდა".*

დავუბრუნდეთ საბეჭდავის საკითხს. ხომ არ არის დედოფლის საბეჭდავი ქართველი ხელოსნის დამზადებული, რომელიც ბიზანტიაში მოღვაწეობდა? სხვაგვარად ვერ აიხსება დაშვებული შეცდომა წარწერაში. სავარაუდოდ წარწერის ავტორს როგორც ესმოდა გვარი, ისეც ამოტვიფრა, მსგავსად თეოფილე ხუცესმონაზონისა. ფაქტი ერთია, რომ საბეჭდავი დედოფალ მართას საკუთრებაა, რადგანაც არავინაა მსგავსი სახელის და გვარის მქონე ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში. ოქროს საბეჭდავს აკლია დედოფლის სამეფო ტიტული და აქაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი დედოფლის გადადგომის შემდეგი ხანისაა.

ვფიქრობთ მართა-მარიამი აღნიშნულ საბეჭდავს იყენებდა პირადი მიმოწერის დროს. იგი ამ ბეჭდით ლუქავდა სიგელ-გუჯრებსა და წერილებს. ის, რომ დედოფალს ჰქონდა პირადი სახის არც თუ მცირე მიმოწერები დაგვემოწმება თეოფილაქტოს ახრიდელის და ევსტრატიოს ნიკეელის პირადი წერილები დედოფალთან.

რაც შეეხება დედოფლის მრავალრიცხოვან მამულებს და ქონებას, ანა კომნენასთან დადასტურებულია ოთხი მათგანი. პირველია მიწები და საზაფხულო რეზიდენცია სერეს თემში, ე.წ. „პენტიგოსტი", სადაც მოხდა ცნობილი შეთქმულების განხორციელების მცდელობა ალექსი კომნენოსზე. შემდეგ ანა დასახელებული აქვს მამულები პეტრიძოში (დღევანდელი ბაჩკოვოს მონასტრის ახლოს, დაბლობზე). ასევე მდიდარი მიწები პერნიკაში (ქ. სოფიადან 20 კილომეტრში) და მეოთხე, მამულები ხრისტუპოლისში (დღევანდელი ქ. კავალა თრაკიაში). დღესდღეობით ძნელია განვსაზღვროთ დედოფლის უძრავ-მოძრავი ქონების ფასეულობა. დედოფალი მართა, როგორც ქართველი უფლისწული თავისთავად მდიდარი პიროვნება იყო. მას და მის

ამალას ბიზანტიაში ჩასვლისას უნდა ჩაეტანათ დიდძალი ფულადი სახსრები, რითაც აუცილებლად შეიძენდნენ უძრავ ქონებას მიწების და სასახლეების სახით. მას შემდეგ კი რაც გარდაიცვალა მისი ვაჟი, სავარაუდოდ დედოფალი მართა დუკების საგვარეულოს მთავარი მემკვიდრე გახდა. გეოგრაფიულად ძალზე დიდ ტერიტორიებზე იყო გაშლილი მისი მამულები და მას მათ საკონტროლებლად ხშირად უხდებოდა გზაში ყოფნა, რათა ეფექტურად ემართა საკუთარი ქონება. ვფიქრობთ ამ საქმეში, სხვა ინსიგნიებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამარხში აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი.

მართა დედოფლის მიერ პაპიკიონის მთაზე მონასტრის ფლობა ეჭვს აღარ იწვევს. სავარაუდოდ, მასვე ეკუთვნოდა ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი, რომელიც მთის დაბლობზე მდებარეობდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია მივმართოთ გრიგოლ ბაკურიანის ძის სამონასტრო ტიპიკონს. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაწერილია პეტრიწონის მონასტერში 1083 წლის დეკემბერში, შეიცავს ზუსტ სიას იმ საგანძურისა, მიწებისა და მამულებისა, რომლებიც დიდმა დომესტიკოსმა თავის ძმასთან ერთად შესწირა პეტრიწონის მონასტერს. ტიპიკონის მე-2 და მე-5 აბზაცში ვკითხულობთ:

„მივეც...ციხესა მისინოპოლისასა შიგნით ჩემ მიერ განძითა ნასყიდნი სასახლენი ადგილნი და ჩემგანვე აღებული სახლნი მას შინა და ...აგრეთვე ციხესა გარეგნით მონასტერ გიორგი-წმიდისა, რომელი-იგი არს პაპიკის მთის ძირსა, თავისი ვენახებითა და ყანებითა და მტილებითა (ბაღ-ბოსტანი, ა.მ.) და ყოვლითა სამართლითა და ნაქონებითა“.[44]

სავარაუდოდ, გრიგოლ ბაკურიანის ძე თავის ტიპიკონში პაპიკიონის დაბლობზე აღმოჩენილ მონასტერს გულისხმობს. ზუსტი მდებარეობა ტიპიკონში ნახსენები მონასტრისა ვერ დგინდება და ვერ ხდება მისი დედოფლის საკუთრებასთან გაიგივება წყაროების საფუძველზე.

[44] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ.70-71

მონატრის დაარსებიდან სულ მოკლე დროში, დაახლოებით ორნახევარ წელიწადში გარდაიცვალა გრიგოლ ბაკურიანიშ ძე. მიუხედავად იმისა რომ ტიპიკონში მისი რამდენიმე ნათესავი ფიგურირებს, ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ცნობები ამ საკითხთან დაკავშირებით. არ ვიცით დარჩა თუ არა მას პირდაპირი ნათესავები, რომლებიც მის ქონებას დაიმტიცებდნენ. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება პეტრიწონის მონასტერი, მას ბერების საბჭო განაგებდა. ტიპიკონში არაა მითითებული თუ ვის უტოვებდა გრიგოლ ბაკურიანის ძე თავის ქონებას. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ საკუთრების დაცვის სადავო საკითხების გადაჭრაში ალექსი კომნენოსის გარდა გრიგოლ ბაკურიანის ძე დედოფალ მართას არ გაიხდიდა მოკავშირედ. მართლია მართა 1083 წელს უკვე აღარაა დედოფალი, მაგრამ ის როგორც თანაიმპერატორის დედა და იმპერატორ ალექსი კომნენოსის დედობილი, ცნობილია, რომ რამდენიმე წელს კიდევ ინარჩუნებდა გავლენას საიმპერატორო კარზე.

მართა დედოფლის აღიარებულ საერო და საეკლესიო ავტორიტეტს დასავლეთის თემებში, მისი პირადი და საოჯახო ქონების არსებობის ფაქტი მაკედონიასა და თრაკიაში, მის ქართულ წარმოშობასა და განსაკუთრებულ პირად თვისებებს უნდა მიექცია გრიგოლ ბაკურიანის ძის ყურადღება და მასში მოკავშირე და მფარველი დაენახა. ვფიქრობთ, ამგვარი ადამიანის არსებობის გარეშე გაუჭირდებოდა შუაგულ ბიზანტიაში, მკვეთრად გამოხატული ანტიბიზანტიური ორიენტაციის მქონე ქართულ მონასტერს თავის დამკვიდრება. აქვე გვინდა დავამატოთ, რომ სავარაუდოდ გრიგოლ ბაკურიანის ძე ცდილობდა თავიდან აეცილებინა ათონის ივერთა მონასტრის შემთხვევა, რომელშიც მისი არსებობის 50 წლის მანძილზე ბერძნები საკმაოდ მომრავლებულიყვნენ და ქართველთა უფლებები მეტად შელახულიყო. მართალია, ამ დროს საქართველოს სამეფო ეხმარებოდა „ივირონის“ ქართველ ბერებს, მაგრამ კონსტანტინოპოლზე დამოკიდებულების გამოკვეთილ ხაზს წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა.

ვფიქრობთ, საბოლოოდ გრიგოლ ბაკურიანის ძეს სურდა პეტრიწონის მონასტრისათვის „კერძო მონასტრის“ სტატუსი მოეპოვებინა და როგორმე აეცილებინა

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მოხვედრა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მონასტრის კურთხევისათვის და ტიპიკონის დასამტკიცებლად მან მოიწვია იერუსალიმის პატრიარქი ექვთიმე.[45]

ვვარაუდობთ, რომ დედოფალი მართა პეტრიწონისა და საქართველოს ურთიერთობებში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. გრიგოლ ბაკურიანის ძეს თავისი მონასტრისათვის სჭირდებოდა ბერების მუდმივი ნაკადი საქართველოდან. ისინი ჩამოდიოდნენ საზღვარგარეთ არსებული ქართული მონასტრებიდანაც. ხოლო დედოფალი მართა, როგორც ქართველთა აღიარებული მფარველი უცხოეთში პეტრიწონის მონასტერს ამგვარ დახმარებასაც უწევდა.

სავარუდოა, რომ დედოფალი და გრიგოლ ბაკურიანის ძე სხვა საკითხებშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ. ანა კომნენასთან იგრძნობა, რომ ისინი გაურბიან ერთმანეთთან შეხვედრას, თითქოს არ სურთ გამჟღავნდეს მათი კავშირი.

იოანე პეტრიწი, იგივე „აბაზგი გრამატიკოსი“ 1082 წელს იოანე იტალოსის წინააღმდგე მოწყობილი სასამართლო პროცესის შემდეგ კონსტანტინოპოლიდან იდევნება და პეტრიწონის ჩადის, სადაც რამდენიმე წელიწადს მოღვაწეობს. მას ძლიერი მეურვე დასჭირდებოდა, რომელსაც მხოლოდ გრიგოლ ბაკურიანის ძე ვერ შეითავსებდა. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ გრიგოლი სულ მალე ბრძოლაში დაიღუპა, მართა-მარიამს კი შესწევდა ძალა დახმარებოდა იოანე პეტრიწს. გავრცელებული შეხედულებით, იგი მოღვაწეობას გელათის მონასტერში აგრძელებს. სავარაუდოდ, აქაც დედოფალ მართას რეკომენდაციით მოხვდა.

დავუბრუნდეთ კვლავ ქონების საკითხს. საბოლოოდ ვჯერდებით იმ მოსაზრებაზე რომ დედოფალი და გრიგოლი აქტიურად თანამშრომლობდნენ და აქტიურად ცდილობდნენ დახმარებოდნენ სამშობლოს არსებული შესაძლებლობებით. არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მათი მამულები მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ თრაკიაში. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ დედოფალ მართას მიეღო თრაკიაში

[45] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ.126

მდებარე ზოგიერთი მამულის მართვის უფლება გრიგოლისაგან. ეს მოხდა 1086-1088 წლებში. დედოფალი მართა დაეუფლა პაპიკიონის მთაზე მდებარე მონასტერს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გათხრების შედეგად აღმოჩენილი მონასტერი ორი ფაზისაგან შედგება. როგორც ჩანს თავდაპირველად იყო მომცრო ზომის ეკლესია, ხოლო როდესაც დედოფალმა მიიღო მართვის უფლებები მან გააფართოვა ეკლესია. 12-14 წლის ყმაწვილი, რომელიც გამოსახულია დედოფალთან ერთად კონსტანტინე დუკაა და მისი დაბადების თარიღს, 1074 წელს თუ მივუმატებთ 12-14 წელს ზუსტად გამოდის 1086-1088.

ამ ადგილას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობა იკვეთება. ბერძენი არქეოლოგის მიერ აღმოჩენილი მარიამ დედოფლის კუთვნილი მონასტერი პაპიკიონზე თამარ მეფის ისტორიკოსის ერთ ცნობას უნდა უკავშირდებოდეს. მასში გადმოცემულია, თუ როგორ მფარველობდა თამარ მეფე უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებს. იგი ეხმარებოდა:

„კერძოთა ელადისათა და მთაწმინდას, ეგრეთვე მაკედონიისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკისათა და კონსტანტინოპოლის მონასტრებთა“.[46]

ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პეტრიწონის მაშენებლად გვევლინება გრიგოლ ბაკურიანის ძე, ხოლო მის შემდგომ პატრონად მართა დედოფალი შვილთან ერთად.

დედოფალი პაპიკიონის მონასტერში გარდაიცვლა მოულოდნელად. იმდენად მოულოდნელად, რომ ვერც კი მოასწრეს შესაფერისი სამარხის მომზადება. არ ვიცით მიზეზი თუ რის გამო დაიკრძალა იგი ამ ადგილას. იქნებ არ სურდათ გაემუღავნებინათ მისი სამარხი? ან სურდათ მოგვიანებით სხვაგან გადაესვენებინათ? როდის გარდაიცვალა? რა პირობებში იცხოვრა ბოლო წლები? ამის შესახებ არ ვფლობთ არანაირ წყაროს.

ცნობილია, რომ დედოფალი, ჯერ კიდევ ცოცხალი და ტიტულით „ავგუსტა-მარია“-თი იხსენიება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილების ბოლოში:

„კეთილად მსახურისა და ღ'თის მოყუარისა დედოფლისა ჩვენისა მართა (ავღუსტინაი)სნი მრავალმცა არიან წ(ელნი და ჟამნი)“.[47]

---

[46] ქართლის ცხოვრება, ტექსტები დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ.,1958, გვ.142
[47] ანა კომნენე, გეორგიკა. ტომი VI, თბ., 1966, გვ.117

ვფიქრობთ, რომ 1104-1105 წლებში დედოფალი ჯერ კიდევ ცოცხალია. მან როგორც ჩანს შვილის დაკარგვის შემდეგ მოუყარა თავი ძალებს და გვერდით დაუდგა თავის ძმისშვილს, დავით აღმაშენებელს საეკლესიო და სახელმწიფო რეფორმების გატარებაში.

მოულოდნელმა გარდაცვალებამ ვფიქრობთ, რომ დააბნია მისი თანამოაზრეები და მეგობრები. მოკრძალებულად დაკრძალვის ცერემონია შეიძლება იმითაც ავხსნათ, რომ სურდათ მისი ძვლები მოგვიანებით გადაესვენებინათ. მაგრამ სად? ყველაზე ახლო პუნქტი კონსტანტინოპოლია, მაგრამ სად დაკრძალავდნე მას? შესაძლოა დუკების საგვარეულო სამარხებთან შვილის გვერდით. სამწუხაროდ დუკების საგვარეულო სასაფლაო დღეს მიკვლეული არაა.

მართას მამა, ბაგრატი ჭყონდიდის მონასტერშია დაკრძალული, არ ვიცით სად დამარხეს მისი ძმა გიორგი II. დამტკიცებულად ითვლება ის ფაქტი, რომ მართა დედოფალი დავით აღმაშენებელს მოესწრო და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის გელათის მონასტერში დაკრძალეს. ცნობილია, რომ გელათის დიდი სამეფო მონასტრის მშენებლობა 1106 წელს დაიწყო და დავითმა მაშინვე განსაზღვრა სამხრეთ ნაწილში ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო სამარხების მდებარეობა.

ერთ-ერთ ვერსიად შეგვიძლია განვიხილოთ იერუსალიმი. ის ხომ ცნობილი მფარველი იყო ქართული სავანეებისა, მაგრამ აქაც ვერ ვხვდებით კონკრეტულ ფაქტს, ან თუნდაც მინიშნებას. ჯვრის მონასტერში აღმოჩენილ იქნა რამდენიმე სამარხი, რომელშიც უცნობი მდიდარი ქალბატონები არიან ჩასვენებულნი. მათი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მოსაზრება რომ თამარ მეფე შესაძლოა იერუსალიმში გადაესვენებინათ, მართალია არაა დამტკიცებული, მაგრამ არც უარყოფილია. თუ შესაძლებელია ამ ჰიპოთეზის დაშვება, მაშინ ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია დედოფალ მართას იერუსლიმში გადასვენებაც ვივარაუდოთ. რათქმაუნდა, ვერ ვიმსჯელებთ ამ საკითხებზე წყაროების უქონლობის გამო და იმედს ვიტოვებთ, რომ მოგვეცემა ამის საშუალება ახალი მასალების აღმოჩენის შემდეგ.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობამ მრავალი წინააღმდეგობა გადაიტანა. ქართველი მეფეების მცდელობამ დინასტიური ქორწინებით დაემყარებინათ მეგობრული კავშირი იმპერიასთან, შედეგი ვერ გამოიღო. ამის შემდეგ იყო მცდელობა ჭკვიანური დიპლომატია ეწარმოებინათ ბიზანტიის წინააღმდეგ, აქაც იმედი გაუცრუვდათ ქართველ მმართველებს.

ამის მიუხედავად მათ ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, ცდილობდნენ თითოეული შესაძლებლობა გამოეყენებინათ და მიეყვანათ ქვეყნის გაერთიანების საქმე ბოლომდე. ამდენ დროს არ მოითხოვდა ეს საქმე, რომ არ გამოჩენილიყვნენ თურქ-სელჩუკები და არ შეეფერხებინათ ჩვენი ქვეყნის მმართველები.

ბაგრატის ასულის, ბიზანტიის დედოფლის მართას მოღვაწეობა, მისი დაუღალავი შრომა ქვეყნისათვის, მის მიერ განხორციელებული რეფორმები და დახმარების ხელი თავის სამშობლოს – ეს იყო ის საკითხები რაზეც ვისაუბრეთ ნაშრომში.

მისი მეუღლის ტახტიდან გადადყენების შემდეგ, ის მაინც იბრძოდა თავისი შვილისათვის მეკვიდრეობის შესანარჩუნებლად. მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა შეთქმულებასა და ამბოხებაში. უკან არ იხევდა გამოეყენებინა თითოეული შესაძლებლობა.

1978 წელს ბიზანტიოლოგიურ ეტიუდებში ი. ნოდიას მიერ გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით „ქართული მასალები მართა-მარიამის შესახებ“ იყო ერთ–ერთი პირველი მცდელობა შეგროვებულიყო იმ დროს არსებული მასალები დედოფლის შესახებ. მას შემდეგ მსგავსი სტატია დაიბეჭდა 1997 წელს ქართული დიპლომატიის წელიწდეულში ავთანდილ მიქაბერიძის მიერ სახელწოდებით „მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში“. მას შემდეგ რაც მოხდა როდოპის მთების არქეოლოგიური დამუშავება და ნიკოს ზიკოსის მიერ, სავარაუდოდ, დედოფლის სამარხის აღმოჩენა. ამის შემდეგ აღარ მომხდარა მონაცემების დამუშავება დედოფლის მიერ.

უმთავრესი მიზანი რაც იყო ამ ნაშრომის შექმნისა, მოგვეგროვებინა მართა-მარიამის შესახებ ცნობები და გვეცადა ის უფრო ნათელი ფიგურა გაგვეხდა ქართულ

ისტორიოგრაფიაში, ვფიქრობ, რომ აღნიშნული მეტ–ნაკლენად შევძელით. ცხადია, სამუშაო კიდევ ბევრია და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში შევძლებთ კიდევ უფრო მეტი სიახლის შემატებას ამ საკითხისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

წყაროები

1. ანა კომნენე, გეორგიკა:ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტომი V. თბილისი 1963.

2. გიორგი კედრენე, გეორგიკა: ტომი V. თბილისი 1963.

3. გიორგი კოდინე, გეორგიკა: ტომი VI. თბილისი 1966.

4. იოანე ცეცე, გეორგიკა: ტომი VII. თბილისი 1967.

5. იოანე სკილიცეს გამგრძელებელი, გეორგიკა: ტომი VI. თბილისი 1966.

6. მიქელ პსელოსი, გეორგიკა: ტომი V. თბილისი 1963.

7. ქართლის ცხოვრება, მატიანე ქართლისა. ტექსტები დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I. თბილისი 1958.

ლიტერატურა

8. ასათიანი ვ. ბიზანტიური ცივილიზაცია. თბილისი 2015.

9. ანთელავა ი. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბილისი 1988.

10. ამირანაშვილი შ. ხახულის კარედი. თბილისი 1972.

11. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი 1971.

12. კოპალიანი ვ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბილისი 1969.

13. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“. თბილისი 1960.

14. მეტრეველი რ. სამუშია ჯ. მეფეთმეფე გიორგი II. თბილისი 2003.

15. მეტრეველი რ. დავით აღმაშენებელი. თბილისი 1990.

16. მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები. თბილისი 1980.

17. მიქაბერიძე ა. მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. ქართული დიპლომატია წელიწდეული, ტომი IV. თბილისი 1997.

18. ნოდია ი. ქართული მასალები მართა-მარიამის შესახებ. ბიზანტიოლოგიური ეტიუდები. თბილისი 1978.

19. ნოდია ი. მარიამ დედოფალი XI საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თსუ-ს შრომები #183. თბილისი 1978.

20. პაპასქირი ზ. შუა საუკუნეების საქართველო მსოფლიო არენაზე. თბილისი 1991.

21. ჟორდანია თ. ქრონიკები I. თბილისი 2004.

22. სამუშია ჯ. ბაგრატ IV. ქართველი მეფეები პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი. თბილისი 2008.

23. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ...თბილისი 1986.

24. ქართული დიპლომატიის ისტორია, მთ, რედ, როინ მეტრეველი, თბ. 2003.

25. შანიძე ა. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. თბილისი 1971.

26. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. თბილისი 1967.

27. ჭყოიძე ე. კონსტანტინე დუკა (პორფიროგენეტის), მართა ბაგრატიონის ძის პირველი ნიშნობა (1074-1076). კრ. ბიზანტიოლოგია საქართველოში 2. რედ. ნ. მახარაძე. ნ. გიორგაძე. თბილისი 2009.

28. ჯაფარიძე გ. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბილისი 1995.

29. ჯაფარიძე გ. იბნ-ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები. თბილისი 1967.

30. В.Н. Бенешевич. Три анийские надписи XI В. Петерю 1921ю

31. В.Д. Дондуа. К истории грузинско-византийской политической взаимоотношении. XI в. Сборник-исторические разыскания. Тб. 1967.

32. В.С. Эсадзе летопис Грузии. Издание имени П.Туманова. Тб. 1913.

33. Острогорский Г. История Византийского государство. Москва 2011.

34. Bellinger A., Grierson Ph. Catalogue of the Bizantine coins in the Dumbarton Oaks Collection and in the whittemore Collection, vol. III, 2. Paris. 1970.

35. Lynda Garland, Stephen Rapp Jr. Mart'a-Maria of Alania. The Oxford Dictionary of Bizantium, II, Oxford 1991.